# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 21 ივლისი 2007 №166 (3089) ფასი 50 თეთრი

# ყურადღება! ყურადღება! იაშვილი! იაშვილი! დებიუტი! დებიუტი!

## დღეს სანდრომ და ალექსანდრემ ახალი მაისურები უნდა მოირგონ







შვეიცარიულმა „თუნმა" გუშინ ოფიციალურად წარადგინა სანდრო იაშვილი. პრეზენტაციაზე, რომელსაც კლუბის პრეზიდენტი კურტ ვედერი, ხელმძღვანელობა და მწვრთნელი რენე ვან ეკი ესწრებოდნენ, ქართველ თავდამსხმელს 10-ნომრიანი მაისურა გადასცეს.

ვედერმა იაშვილის ტრანსფერი საგანგებოდ აღნიშნა — მართალია, გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი წავიდა, მაგრამ უკეთესები მოვიდნენ და მათ შორის, ქართველი ფორვარდის ძალიან გვეიმედებაო. ვედერისვე თქმით, წინა სეზონში დაკავებული მეშვიდე ადგილი კლუბს არ დააკმაყოფილებს, სულ მცირე, უეფას თასზე უნდა გავიდეთო. •

შვეიცარიის ჩემპიონატი დღეს იწყება — „თუნი" „სიონს" მასპინძლობს და, სავარაუდოდ, სანდროს ოფიციალური დებიუტიც დღესვე შედგება.

დღეს ველით მეორე იაშვილის, ალექსანდრეს კარლსრუერულ დებიუტსაც: ჩვენებურის ახალი გუნდი გერმანიის ლიგის თასზე ლევან კობიაშვილის „შალკეს" ხვდება.

# ტოტიმ ბოლო ტოტიც მოჭრა

## იტალიამ დიდი ათიანის უარი მოისმინა






AFP

საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის მეორეადგილოსანმა თბილისის „დინამომ“ უეფას თასის გათამაშება წარმატებით დაიწყო — გუშინწინ ლიხტენშტაინურ „ვადუცს“ 2:0 მოუგო და ძნელი წარმოსადგენია, სტუმრად ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნოს. ცხადია, დინამოელები მომდევნო ეტაპზე თავს ჯერ არ გრძნობენ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ლიხტენშტაინში მშვიდად ჩავლენ. იქამდე კი ჩვენ კლუბის მმართველ დირექტორ გიორგი ტყავაძეს ვესაუბრეთ...



# ტყავაძემ ქაოსი ვერსად შენიშნა

— პირველ შეხვედრაში „დინამომ“ „ვადუცს“ ორბურთიანი სხვაობით სძლია, რაც სავსებით ნორმალური შედეგია. რას იტყვით გუნდის თამაშზე?

— პირველ ტაიმზე ნაღდად ვერ ვიტყვი, კარგად ვითამაშეთო, აი, მეორეში კი არა უშავდა. რაც მთავარია, გასულ წლებთან შედარებით სათამაშო დისციპლინა არ დარღვეულა და არც ქაოსი შეინიშნებოდა, რაც თავისთავად მწვრთნელის დამსახურებაა.

— დუშან უპრინმა სამი ახალწვეული ათამაშა: მეკარე დიდიე ოვონო, მცველი რომან დობეში და თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი. მათზე რას გვეტყვით?

— ოვონო საიმედოდ იდგა და ორჯერ გოლსაც გადაგვარჩინა, აკირემის წამის მეასედიც არ დაუკარგავს, ისე გაიტანა გოლი და საერთოდ, ბევრი იმოძრავა, მარცხენა მცველ დობეშს კი ჩვენთან სულ რამდენიმე ვარჯიში აქვს ჩატარებული და ეს თამაშზეც ეტყობოდა. მისი აყვანა ნაუცბათევად მოგვიხდა, რადგან ოლეგ გველესიანი დაშავდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, დობეში მოუმატებს.

— „ვადუცთან“ მატჩამდე გვითხარით, რომ „დინამო“ ყოველთვის მოსაგებად გადის მოედანზე, მაგრამ მაინც: უეფას თასზე რამდენი ეტაპის გავლას გეგმავთ?

— ცხადია, ძალიან კარგი იქნება, თუ უეფას თასს მოვიგებთ, მაგრამ საქმეს რეალურად თუ შევხედავთ, საკითხი ასე დგას: გააჩნია, რა დონის გუნდს შევხვდებით და ამის შემდეგ შევაფასებთ ევროთასზე გამოსვლას.

— ორი წელია, საქართველოს ჩემპიონობამდე ცოტა გაკლდებათ. ცხადია, მომავალ სეზონში მიზანშიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ...

— „დინამო“ ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძვის და მომავალშიც ასე იქნება.

— მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

— ჯერ მოსამზადებელი პერიოდი გრძელდება და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. თანაც, საქართველოს ჩემპიონატს თავისი სპეციფიკა აქვს — ტრანსფერები სეზონის დროსაც ხდება. არ გამოვრიცხავ, რომელიმე გუნდმა სიურპრიზი შემოგვთავაზოს. ისე კი, ალბათ ვინც შარშან იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის, ისევ მათთან მოგვიწევს ჭიდილი.

— საქართველოს ჩემპიონატის დონეზე რა აზრის ხართ?

— ჩემპიონატის დონე იმით ფასდება, თუ როგორ გამოდიან ევროთასებზე კლუბები. ჩვენს ჩემპიონატს დაძაბულობა არ აკლია, მაგრამ დონეს ამით ვერ განვსაზღვრავთ.

— თქვენი აზრით, დინამოელთაგან ეროვნულ ნაკრებში თამაშს ვინ იმსახურებს?

— არის რამდენიმე და ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებასაც იმსახურებენ — იყვნენ კიდეც გამოძახებულნი, თუმცა უკეთესი იქნება, მათ მეტად თუ გამოცდიან. იმის უთქმელობაც არ იქნება, რომ გასული სეზონის მიხედვით სანდრო იაშვილი ნაკრებში თამაშს იმსახურებდა.

— იაშვილი ახსენეთ და, შვეიცარიულ „თუნში“ მის ტრანსფერზე „დინამომ“ იზრუნა?

— ამ ფეხბურთელზე „თუნიდან“ იყო შემოთავაზება, ჩვენ არც ვეძებდით მისთვის ახალ კლუბს. ვისურვებდით, რომ „დინამოს“ ფეხბურთელებზე კვლავ აღდგეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, კარგი ევროპული გუნდებიდან.

— ჩანს, „დინამოში“ ბავშვთა ფეხბურთსაც დიდი ყურადღება ექცევა. წლეულს ყველა ასაკობრივმა გუნდმა იჩემპიონა...

— ეს იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიაში მუშაობენ. სასურველია, მათ უკეთესი პირობები ჰქონდეთ, თუმცა შეძლებისდაგვარად ვზრუნავთ, რაც შეიძლება, გავაუმჯობესოთ მდგომარეობა და წარმატებული სვლა განვაგრძოთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# იოლ მოგებას არც ველოდით



რაც უნდა ვაკრიტიკოთ საქართველოს ჩემპიონატი, ერთი რამ უნდა ჩავიდოთ თავში: სწორედ აქ უნდა დაფრთიანდნენ ჩვენი ფეხბურთელები, რომლებიც მომავალში ეროვნული ნაკრების სახეები გახდებიან. მადლობა ღმერთს, ნიჭიერები გვყავს და მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული თბილისის „დინამოს“ შემტევი ნახევარმცველი გიორგი მერებაშვილია. ის ჯერ 20 წლისაა, მაგრამ ასეთ საკვანძო პოზიციაზე „დინამოს“ ძირითადში უკონკურენციოა — აკი გუშინწინ ლიხტენშტაინის „ვადუცს“ შავი დღე აყარა, თავისივე მონადირებული პენალტით გახსნა ანგარიში და საერთოდაც, საუკეთესო იყო მინდორზე. მერებაშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია და თუ ასე გააგრძელა, ეროვნულ გუნდშიც მალე შეაბიჯებს...

— „ვადუცის“ თამაშების ვიდეოფირი ნანახი გვქონდა და იოლ გამარჯვებას არც ველოდით. ორბურთიანი მოგება ის ფორაა, რომელიც „დინამომ“ არ უნდა გაანიავოს. ასე ვთქვათ, სასურველი შედეგი მივიღეთ, შინ გოლი არ გავუშვით.

— როგორ შეატყვე, აქვს „ვადუცს“ იმის პოტენციალი, საპასუხო მატჩში სენსაცია მოახდინოს?

— სიმართლე ვთქვა, „ვადუცისგან“ უკეთეს თამაშს ველოდი. როგორც ვიცი, ეს გუნდი შინ უფრო ძლიერია და ფხიზლად უნდა ვიყოთ.

— შენს თავზე ხშირად იღებდი თამაშს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ეს დუშან უპრინის დავალება იყო?

— ზოგჯერ ამას საგანგებოდაც უნდა აკეთებდე, მით უმეტეს, თუ ატყობ, რომ გამოგდის. თანაც, მე ისეთ პოზიციაზე ვთამაშობ, ეს აუცილებელიცაა. მთლიანობაში, კმაყოფილი დავრჩი ჩემი თამაშით, მაგრამ ვგრძნობ, რომ მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია გუნდისთვის.

— მოსამზადებელ პერიოდში „ამერს“ ჯარიმიდან ჩახვეული დარტყმით გაუტანე. ამაზე საგანგებოდ ვარჯიშობ?

— დიახ, ფეხბურთელმა რაც შეიძლება, მეტი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე და ღვთის მადლით, ვარჯიში არ მეზარება. ამპლუის გათვალისწინებით, კარში ხშირად დარტყმა არ მაწყენს და, ცხადია, ამის დასახვეწად ვვარჯიშობ. სისწრაფესაც უნდა მოვუმატო.

— „დინამო“ „ვადუცთან“ ისე ტემპიანად ვერ გამოიყურებოდა, როგორც ჩემპიონატის მატჩებში...

— რამდენიმე მიზეზია. ჯერ ერთი, სამი ახალი ლეგიონერი გვყავდა და შეთამაშების პრობლემა იყო, მეორეც, ძალიან ცხელოდა. ეჭვი არ მეპარება, მომდევნო მატჩებს „დინამო“ გაცილებით სხარტად და ხარისხიანად ჩაატარებს.

— „დინამო“ ახლა უფრო ძლიერი იქნება თუ წინა სეზონში? რაც უნდა იყოს, სანდრო იაშვილის წასვლა საკმაო დანაკლისია...

— არც ერთი ამბიციური გუნდი ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზე არაა დამოკიდებული. კი, სანდრო მართლაც დიდი ძალა იყო „დინამოსთვის“, მაგრამ მარტო კაცი მთელი ჩემპიონატის მანძილზე ზედიზედ ვერ მოიგებს თამაშებს. ვფიქრობ, როცა შევთამაშდებით, „დინამო“ შარშანდელზე ბევრად უკეთესი გუნდი იქნება.

— როგორ ატყობ, წლიდან წლამდე უკეთესად თამაშობ?

— თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ, როგორც ჩანს, ვარჯიშსა და შრომას ტყუილად არ ჩაუვლია: „დინამოს“ ძირითადში ვთამაშობ, ახალგაზრდული ნაკრების წევრი ვარ. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი.

— ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ. ესპანეთთან ევროშესარჩევ მატჩს როგორ გაიხსენებ?

— ჩემთვის სულერთია, ესპანეთს ვეთამაშებით თუ ვინმე სუსტს, მინდორზე სრული მობილიზებით გავდივარ და თავში მოგება მიტრიალებს. ახალგაზრდულში პირველად ვითამაშე ასეთი რანგის მატჩი, წავაგეთ, მაგრამ ფრესთან ახლოს ვიყავით, პოტენციალი კი ამ ნაკრებს ნაღდად გააჩნია.

— „დინამოს“ ძირითად გუნდამდე რა გზა გამოიარე?

— ჯერ „დინამო 3“-ში ამიყვანეს, ერთ წელიწადში დუბლებში გადამიყვანეს, სადაც წელიწადზე ცოტა მეტი ვიყავი, მერე კი, რომ არ ველოდი, ბათუმში „ლოკომოტივთან“ სუპერთასის მატჩში ძირითადში დამაყენეს. მაშინ „დინამოს“ კახა ცხადაძე წვრთნიდა.

— „ვადუცთან“ სანამ პენალტს მოინადირებდი, მანამდეც ორჯერ ითხოვდი თერთმეტმეტრიანს...

— დანიშნული პენალტი აშკარა იყო. მეორედ რომ წავიქეცი, გავაფორმე, აი, პირველ ჯერზე კი წესების დარღვევა იყო — მცველი მქაჩავდა, ეს ვიდეოფირზეც ვნახე და დავრწმუნდი. მოკლედ, სამიდან ორი პენალტი უნდა დანიშნულიყო.

**ილია ნანობაშვილი**

# პროფლიგამ დიპლომები და მედლები მიიტანა

**გუშინ** დილმის ბაზაზე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ დინამოელებს გასულ სეზონში დაკავებული მეორე ადგილის გამო ვერცხლის მედლები ჩამოურიგათ.

ზარაფხანაში დამზადებული მედლები ფეხბურთელებს პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჭულაძემ გადასცა.

სხვათა შორის, დაჯილდოვების ცერემონიალს სლოვაკი მილოშ კრუშკო ცოლ-შვილით დაესწრო.

**ნუკრი ლოლაძე**

## ავსტრია

ბუნდესლიგა
III ტური

შტურმი 4:0 ლინცერი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
I ტური

ვაშაში 3:1 ტატაბანია
ზალაეგერსეგი 3:1 პაკში

## ამხანაგური მატჩები

MLS-ის ვარსკვლავები 2:0 სელტიკი
ფკ სეული 0:4 მანჩესტერი
ოსერი 0:2 ლივერპული
ცსკა (სოფია) 4:0 პ. ძფარ-სავა
ადმირა 2:5 ჩიჭკოვი
პანზა 0:1 ბანიკი
პართსი 5:1 პერაკლესი
ალემანია 0:0 აალენი
არისი 1:0 ტულუზი
პანოვერი 3:1 ტვენტე
მეცი 0:1 რეიმსი
სოშო 0:0 ლეგია
ვუპერტალი 0:1 აინტრახტი
მენსფილდი — ლესტერი გადაიდო
ეძსეტერი 1:1 პორტ ვეილი
მაკლსფილდი 1:1 სტოკი
სტიაუა 1:1 შარლერუა
ბრაიტონი 1:2 ფულემი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა
I ტური

გოსაუ 1:4 ვოლენი
ლოკარნო 1:0 შო დე ფონი

## ირლანდია

პრემიერლიგა
XIX ტური

გალვეი 0:1 ბრეი
უოტერფორდი 1:2 სლიგო

## ხორვატია

1 დივიზიონი. 1 ტური

ინტერი 0:1 რიეკა

## რუსეთი

პრემიერლიგა. XVII ტური

დინამო 0:0 ამკარი

## უკრაინა

ვიშა ლიგა. II ტური

ტავრია 2:1 კარპატი

## სლოვენია

I ლიგა. I ტური

ფაძტორი 1:0 ნაფტა

## სლოვაკეთი

I ლიგა. II ტური

სენეცი 0:1 ნიტრა






ორესტ ლენჩიკი და გიორგი ჩიხრაძე

# შეი-ძელ! წააგე ძელთან, მოიგე კართან!

„ბელხატუვ" — „ამერის" დაწყებამდე 20-25 წუთი რჩება. პრესლოჟაში გუნდების განაცხადები ჩამოარიგეს და საქმეს უნდა შევუდგე. გვერდით ჭარმაგი პოლონელი კოლეგა მომიჯდა, გამეცნო და დახმარება მთხოვა. პოლონური რადიოს კომენტატორი იყო და, ქართული გვარები სწორად როგორ გამოვთქვა, ეს მითხარიო. ცხადია, პოლონელს ქართულის პოლონურად წარმოთქმა უჭირდა. თუმცა არც ისე, როგორც დასავლეთევროპელებს. კოლეგამ სათქმელი ჩაინიშნა და მერე თავის ძველ ამბებსაც მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი 80-იან წლებში თბილისში მინსკის „დინამოსა" და ლოძის „ვიძევის" შეხვედრას ესწრებოდა და ამ ევრომატჩის პირდაპირი რადიორეპორტაჟი მიჰყავდა. გაიხსენა თბილისი და საგულისხმო რამ მითხრა — მინსკის „დინამო" ბელარუსის გუნდი იყო და თბილისში ითამაშა, ყველა ლოგიკით, ქართველებს ამ გუნდისთვის უნდა ექომაგათ, მაგრამ სხვანაირად იყო, ნახევარი სტადიონი „ვიძევის" მხარდამჭერი ჩანდაო. არ გამკვირვებია, რადგანაც ასეთი ამბავი „დინამოს" სტადიონზე მინსკის „დინამო" — „ვიძევის" მატჩის გარდა კიდევ ბევრჯერ მომხდარა და უფროსებს გაუხსენებიათ. პოლონელმა ქართველების მაშინდელი ქცევა ორი სიტყვით და მარტივად თქვა — საბჭოთა კავშირი, ანუ რუსების სახელმწიფო, პოლონელებისთვის და ქართველებისთვის დიდი პრობლემა იყოო... ცხადია, დავეთანხმე... შემდეგ კოლეგამ, „ამერი" რას ნიშნავსო, ესეც იკითხა, პასუხი მიიღო და კარგი თამაშის მოლოდინით ორივე ჩვენს საქმეს შევუდექით.

ქართველების მიმართ კეთილგანწყობა კი ამ კაცის გარდა ბელხატუვში, დიდი პოლონეთის ამ პატარა ქალაქში, სხვებისგანაც იგრძნობოდა, სითბო და პატივისცემა თვით „ბელხატუვის" ფანებისგანაც მოდიოდა. მათ ჯერ კიდევ მატჩამდე სამი-ოთხი საათით ადრე „გამოიჭირეს" და ქართულ-პოლონურ ამბებზე იმდენი ილაპარაკეს, ლამის ცრემლებად დავიღვარე. ეს ამბავი პოლიტიკური თემის გარეშე, აბა, როგორ იქნებოდა, სტალინი და სააკაშვილი ახსენეს და... პოლონეთის პრეზიდენტ და პრემიერ-მინისტრ ძმებ კაჩინსკებზე კი ასე თქვეს, მათ ურთმანეთოდ არასდროს უმუშავიათ და ქვეყნის სათავეშიც ერთად მოვიდნენო.

* * *

მატჩის წინა დღეს, „ბელხატუვის" სტადიონის ადმინისტრაციიდან დაწყებული, კლუბის თანამშრომლებით გაგრძელებული და უბრალო ქომაგით დამთავრებული, ყველა დარწმუნებული იყო, რომ „ამერთან" მატჩისას 8 760-იანი ტრიბუნები ბოლომდე შეივსებოდა. სტადიონზე კი თაღარიგი დაიჭირეს და VIP-ლოჟის გვერდით რკინის კონსტრუქციის საგანგებო ტრიბუნაც ააგეს. თქვეს, რომ გასაყიდი მხოლოდ 80 ბილეთი დარჩა და სტადიონზე ანშლაგს ველითო. რა მოხდა, როგორ იყო და ბელხატუველებს თავში რა გადაუტრიალდათ, არ ვიცი, ფაქტი კია, ტრიბუნები სანახევროდ ცარიელი დარჩა. არადა, როგორც აქამდე ვწერდით, „ამერთან" ევრომატჩი „ბელხატუვისთვის" სადებიუტო იყო.

კიდევ ერთი: „ბელხატუვის" ცენტრალურ ტრიბუნაზე, სადაც ქვეყნის ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან ერთად ბელხატუვის მერი, სხვა ჩინოსნები და ქალაქის ნაღები საზოგადოება იჯდა, საქართველოსა და „ამერის" საკლუბო დროშები იყო გამოფენილი.

ფლაგშტოკი, ცხადია, სხვა საქმეა. სტუმართა დროშების ასეთ ადგილას ნახვა კი ჩვენთვის ერთი სიამოვნება იყო. რა თქმა უნდა, მასპინძლების უნებართვოდ ეს არ მოხდებოდა და ესეც ქართველთა მიმართ კეთილგანწყობის კიდევ ერთი მაგალითია. მატჩამდე ერთი საათით ადრე კი „ამერის" საკლუბო ჰიმნიც გაისმა, რასაც მისი ავტორი გია ნიკოლაძე ტრიბუნაზე ისმენდა.

* * *

მართალია, „ბელხატუვი" პოლონეთის ვიცე-ჩემპიონია და პირველობამდე სულ ერთი ქულა დააკლდა, მაგრამ მათი გაკეთებული ეს საქმე სულაც არ იყო იმის წინაპირობა, რომ „ამერს" პირველი მატჩი ასეთი ანგარიშით წაეგო. ბევრჯერ თქმულა, მხოლოდ სახელი, ამბიცია და ასეთი წარმატება დღეს არაფერს ნიშნავს. 30 წლის „ბელხატუვი" თუ წინა სეზონში პირველად გავიდა ჩემპიონატის საპრიზო ადგილზე, 5 წლის „ამერი" ქვეყნის თასის ორგზის და სუპერთასის მფლობელია, წინა სეზონი კი ბრინჯაოთი ჩაამთავრა. და თან არც ისეა, ვთქვათ, პოლონეთის ჩემპიონატი საქართველოსას მნიშვნელოვნად აღემატებაო. ელემენტარულად, პოლონეთში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა უფრო მოწესრიგებულია, საქართველოში კი...

ფრანგმა მსაჯმა „ბელხატუვ" — „ამერის" მატჩის დაწყების ნიშანი რომ მისცა, იმ წუთიდან, ვიდრე მასპინძლები მეორე გოლს გაიტანდნენ, ანუ მთელი 83 წუთი, ველოდი, რომ „ბელხატუვი", ესაა და ეს, მეტოქის კარზე შტურმს მიიტანს და სასურველი შედეგის მისაღწევად „ამერის" საჯარიმოს არ მოშორდება-მეთქი. საბოლოოდ, „ბელხატუვმა" სასურველი შედეგი მაინც მიიღო, მაგრამ... აი, სწორედ ეს „მაგრამ" არის ის, რაც პირადად ჩემთვის არის საიმედო და იმის მანიშნებელი, რომ „ამერს" ამ პოლონური გუნდის დამარცხება შეუძლია. რა თქმა უნდა, „ყვითლებისთვის" საპასუხო მატჩის, სულ მცირე, 3:0 მოგება ძალიან ძნელი იქნება, თუმც არა შეუძლებელი. ბელხატუვური მატჩი მასპინძლებს თავიანთი ოსტატობით არ მოუგიათ, უფრო ჩვენებმა წააგეს. ბავშვური შეცდომების გამო „ამერმა" საქმე უკიდურესად გაირთულა. პოლონეთიდან დაბრუნებულს ერთხელაც მქონდა ამ მატჩის ვიდეოფირის ნახვის საშუალება და გულზე შემომეყარა ის მარტივი შეცდომები, რომლებიც „ყვითლებს" ამ მატჩისას, უფრო სწორად, იმ ორი გოლისას მოუვიდათ. მასპინძლებმა ორივე გოლი თითქმის ერთნაირად გაიტანეს. ჯერ კუთხურიდან, ხოლო შემდეგ ჯარიმიდან, ბურთი „ამერის" კარის შორეულ ძელთან ეშვებოდა, სადაც პიეტრაშიაკი მცველებზე უკეთეს პოზიციას ირჩევდა და ერთხელ ფეხით, მეორედ კი თავურით გუნდს ასეთი ფორა მისცა. ამ ეპიზოდებში მცველები სად იყვნენ და რას აკეთებდნენ, ალბათ, მხოლოდ თავად იციან. არადა, ცენტრალურმა მცველმა პიეტრაშიაკმა ორივე გოლი სულ ერთი მეტრიდან გაიტანა.

თავის წილი შეცდომა, ეგებ, „ამერის" მწვრთნელსაც მიუძღვის. იქნებ სჯობდა, თითქმის თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ შეგირდებისთვის მეტი და უფრო თამამი შეტევებისკენ მოეწოდებინა?! პირველი ტაიმის დასაწყისშივე იყო, სტუმართა ერთადერთმა გამოკვეთილმა შემტევმა რევაზ გოცირიძემ „ბელხატუვის" კარში თავური რომ დაარტყა, მასპინძელთა მეკარე პიოტრ ლეხს კი სულ იოლად შეეძლო ამ ბურთის ხელში დაჭერა, მაგრამ მან ისეთი ნახტომი გააკეთა, თითქოს გუნდი უეჭველი გოლისგან იხსნა. ლეხმა ბურთი კუთხურზე მოიგერია და უკვე მაშინ გამოჩნდა, რომ მასპინძლები ძალიან ნერვიულობდნენ. მეკარეზე არანაკლებ სხვა ფეხბურთელებიც ფორიაქობდნენ და ვფიქრობ, ასეთ დროს მეტ შეტევასა და აგრესიას კარგი შედეგის მოტანა შეეძლო. ამერელებმა ერთი-ორჯერ ეს სცადეს კიდეც, მაგრამ სულ ორიოდ წუთით და, მასპინძლებისა არ იყოს, შთაბეჭდილება შეიქმნა, მეტოქის შეცდომას ელოდნენ. ბოლოს კი ის მოხდა, შეცდომები ისევ მათ დაუშვეს და ცუდი ანგარიშით დამარცხდნენ.

* * *

როგორც უნდა იყოს, ყველა შემთხვევაში, „ამერს" ორბურთიანი დეფიციტი აქვს და ორი კვირის შემდეგ ამის გაბათილებას უნდა ეცადოს. მასპინძლებს ხუთშაბათის შეხვედრისას ერთი-ორი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ ისევ და ისევ პირველი მატჩის შემხედვარე ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვნად არც იმ ფეხბურთელების დამატებით უნდა შეიცვალოს „ბელხატუვის" თამაში, მით უმეტეს, რომ პოლონელები სტუმრები იქნებიან. ერთხელ და ორჯერ ყოფილა, მასპინძელს ორბურთიანი სხვაობა თავის სასარგებლოდ შეეტრიალებინოს?! მგონია, რომ „ბელხატუვის" თამაში „ამერისას" არაფრით აღემატება, შანსი არის და „ამერს" შეუძლია ამის გამოყენება.

დანარჩენი 2 აგვისტოს, „მიხეილ მესხზე" ვნახოთ...

**ბონდო ინასარიძე**

## ზესტაფონის მსუყე ნაშატი: მიკუჩაძე და აფციაური იმერლები თურქეთში წავიდნენ

**დღეს** „ზესტაფონი" თურქეთში, ანკარასთან მდებარე სამთო კურორტზე წავიდა შეკრებაზე. თემურ მახარაძის გუნდს ორი ახალი ფეხბურთელი გაჰყვა: ნახევარმცველი თორნიკე აფციაური და თავდამსხმელი კოკა მიკუჩაძე. ისინი ჯერ ოფიციალურად არ ჩარიცხულან „ზესტაფონში", მაგრამ, სავარაუდოდ, ამ კლუბში გააგრძელებენ კარიერას.

აფციაური წინა სეზონში რუსთავის „ოლიმპში" საქართველოს ჩემპიონი გახდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ქვემოქართლელთა შეტევები მეტწილად მისით იწყებოდა. რაც შეეხება მიკუჩაძეს, ბოლოს ისრაელის მეორელიგელ ბეერშევას „ჰაპოელში" გახლდათ, სადაც გოლები კი გაიტანა, მაგრამ მისი გუნდი უმაღლეს ლიგაში ვერ გადავიდა და კოკამაც წამოსვლა არჩია. მიკუჩაძე 2005-06 წლების ქვეყნის ჩემპიონ „სიონის" ბომბარდირი იყო. ისიც ვთქვათ, რომ თორნიკეს და კოკას ერთად გიორგი დევდარიანის „თბილისში" უთამაშიათ, როცა ეს გუნდი უეფას თასზე გავიდა.

ცხადია, თურქულ შეკრებაზე ფეროელებს არ წაჰყვებიან გიორგი ჭელიძე და ბექა გოცირიძე — მათ კონტრაქტები კი აქვთ, მაგრამ გუნდიდან წასვლა გადაწყვიტეს და წინადადებებიც ჰქონიათ.

და კიდევ: არაა გამორიცხული, თურქეთში იმერლებს ლეგიონერიც შეუერთდეს. გაძლიერება გვჭირდება და სახელექციო მუშაობის დასრულება ჯერ ადრეაო, გვითხრეს კლუბში.

**ილია ნანობაშვილი**

## ბოლნისელთა ურეკული ამბები

**ბოლნისის** „სიონი" ურეკში ემზადება და დღეს ზუგდიდის „მგლებს", 25 ივლისს კი თბილისის „მერანს" შეხვდება ამხანაგურად. სავარაუდოდ, ნოდარ აკობიას გუნდი ერევნის „არარატსაც" გაეჯიბრება, რომელიც იმავ სასტუმროშია დაბინავებული, სადაც „სიონი".

ბოლო დღეებში გუნდში ახალი ფეხბურთელები არ გამოჩენილან, სამაგიეროდ, ბოლნისელებმა გიორგი კვიტაიშვილი და კამერუნელი გასტონ ევოჩე დააყენეს ტრანსფერზე.

**ილია ნანობაშვილი**

## განცხადება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 2007 წლის 25 ივლისს 12 საათზე ატარებს იმ კლუბების ხელმძღვანელთა შეკრებას, რომელთაც სურვილი აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ჭაბუკთა ლიგის ჩემპიონატში.

*სფფ-ის პრესსამსახური*






# ქართული ბუნდესპოლუსები
## დღეს: კობიაშვილი VS იაშვილი




**დღეს გერმანიაში სეზონი იწყება, რომელსაც, ტრადიციულად, ბუნდესლიგა კი არა, ლიგის თასი გახსნის. ამ ტურნირის პირველივე დღე იმით არის გამოსარჩევი, რომ „ქართული" დერბი შედგება — ლევან კობიაშვილის „შალკე" ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუეს" წინააღმდეგ. ერთ დროს ფრაიბურგელ თანაგუნდელებს ერთმანეთის წინააღმდეგ გერმანიაში ოთხჯერ უთამაშიათ და უპირატესობა კობიაშვილს აქვს — ორი მოგება, ერთი ფრე და ერთი წაგება.
ახლა იაშვილი ახალ გუნდშია — „კარლსრუეში". გუშინ ორივე ჩვენებურს გერმანიაში შევეხმიანეთ და არა მხოლოდ დღევანდელ მატჩზე ვესაუბრეთ...**

**ლევან კობიაშვილი:** ბუნდესლიგის დაწყებამდე სამი კვირაა და ჯერ ასი პროცენტით მზად არავინაა, მაგრამ ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში. ლიგის თასის მატჩს კი, როგორც ამხანაგურს, ისე ვუყურებთ. ამის დასტური თუნდაც ისაა, რომ მატჩის წინა დღეს ჩვეულებრივ ორჯერადი ვარჯიში გვაქვს. მწვრთნელები, როგორც მოსამზადებელი ეტაპის მატჩისთვის, ისე გვამზადებენ.

**— ბოლო ტესტ-მატჩებში საყრდენ ნახევარმცველად ითამაშე. როგორ ფიქრობ, ჩემპიონატშიც ასე იქნება?**

— „შალკე" ორი საყრდენით თამაშობს. ჩემთვის სასურველი ამპლუა მარცხენა ნახევარმცველია, მაგრამ გუნდის სქემაში ასეთი პოზიცია არ არსებობს — გვყავს მარცხენა მცველი და მარცხენა თავდამსხმელი. ამიტომ მარცხენა საყრდენად ვითამაშებ.

**— მწვრთნელმა ბოლოს შეუცვლელად მხოლოდ შენ გათამაშა. რას უნდა მივაწეროთ ეს?**

— გუნდს გვიან შევუერთდი და შეიძლება, ამიტომ დამტვირთა. ან ვარჯიშებზე ფიზიკურად სხვებზე კარგად ვგრძნობდი თავს და მანაც მომცა ამის საშუალება. ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი მაქვს, ოფიციალური მატჩი იქნება თუ ამხანაგური, მოედანზე ყოფნა ყოველთვის მინდა.

**— ლიგის თასი გასაგებია და, სხვა ტურნირებში რას გეგმავთ?**

— ჩემპიონატში ალბათ სამეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ. თუ უფრო მეტს შევწვდებით და ჩემპიონები გავხდებით, ამას რა აჯობებს, მაგრამ ასეთი დავალება, გინდა თუ არა პირველები უნდა ვიყოთო, არ გვაქვს. თან თასისთვისაც ვიბრძოლებთ. ჩემპიონთა ლიგაში კი პირველი ამოცანა ჯგუფიდან გასვლაა.

**ალექსანდრე იაშვილი:** ჯერ ყველანი საშუალო დონეზე ვართ, რომ იტყვიან, ახლა ვხურდებით. სეზონის დაწყებამდე სამი კვირაა. სანაკრებო თამაშების გამო გუნდს ცოტა გვიან შევუერთდი და ჯერ ოპტიმალური ფორმისგან შორს ვარ. თუმც გუნდი სერიოზულად ემზადება ამ მატჩისთვის და საერთოდ, ლიგის თასისთვის.

**— კობიაშვილმა გვითხრა, რომ „შალკე" ამ მატჩს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ჩანს, „კარლსრუეს" სხვა გეგმა აქვს...**

— ყველას თავისი შეხედულება აქვს. მართალია, ჩემპიონატი უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ აქაც ვიბრძოლებთ.

**— ძირითადში ითამაშებ?**

— წესით, კი.

**— ალბათ კობიაშვილიც ითამაშებს და ქართულ დუელსაც ვნახავთ.**

— ჩვენ მეგობრები ვართ, წლებია ნაკრებშიც ერთად ვართ და ადრე „ფრაიბურგშიც" ერთად ვთამაშობდით. ახლა კი საკუთარი გუნდებისთვის ვიბრძოლებთ.

**— „კარლსრუე" ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე იფიქრებს თუ რაიმე სიურპრიზს უნდა ველოდოთ?**

— ხელმძღვანელობამ ათეულში შესვლა და, რაც შეიძლება, მაღალი ადგილისთვის ბრძოლა დაგვავალა. ადგილი თუ შევინარჩუნეთ, კმაყოფილები ვიქნებით. ვცდილობ, ყოველი მომდევნო სეზონი უკეთ ვითამაშო და ჩემსას ვეცდები. თუმცა მთავარია, გუნდმა შეასრულოს დავალება და მასში ჩემი წვლილიც შევიტანო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სირაძემ აღმოჩნდა წაქცევით აღნიშნა ხიზანეიშვილი მერე გამოჩნდა

ორკვირიანი უქმობის შემდეგ გერმანული „პადერბორნის" ქართველი თავდამსხმელი დავით სირაძე მოედანს დაუბრუნდა.

„პადერბორნმა" ობერლიგის გუნდს 6:4 მოუგო.

სირაძემ თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და ანგარიშიც მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიხსნა.

ჩვენებური 64-ე წუთზე ბოშკოვიჩმა შეცვალა. ამ დროისთვის ანგარიში 4:0 იყო.

შეგახსენებთ, დავით სირაძეს ფეხი აწუხებდა და იძულებით მოუწია დასვენებამ, რის გამოც „პადერბორნის" სამი ტესტ-მატჩი გამოტოვა.

და ერთიც ვთქვათ: მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა „ფრაიბურგის" შემადგენლობაში ოთარ ხიზანეიშვილმა. მისი გუნდი ქვედალიგელ „კიკერსს" გაეჯიბრა და 2:2-ს დასჯერდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




# ქართველებმა მაული შეაწუხეს
## იენელი ფეხბურთელები გვარების გადაკეთებაზე ფიქრობენ?




ალექსანდერ მაული

„თუ გუნდში ორი-სამი კიდევ მოვა, გვარს შევიცვლი და მაულშვილი ან მაულაძე გავხდები" — ეს სიტყვები „კარლ ცაისის" ფეხბურთელ ალექსანდერ მაულს ეკუთვნის და მისი ხუმრობის მიზეზი იოლი მისახვედრია — „კარლ ცაისი" ქართველებით ივსება, თუმც ისიცაა, რომ იენაში „შვილი"-ზე დაბოლოებით ერთ ქართველსაც არ უთამაშია, „ძე"-ზე მხოლოდ ორი მათგანია — სეთურიძე და ბარაბაძე.

„კარლ ცაისთან" თურმე კიდევ ერთი ჩვენებური თანამშრომლობს — ვახტანგ თამაზაშვილი.

„მე ფეხბურთელებს ადაპტაციაში, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში და ენობრივ ბარიერის გადალახვაში ვეხმარები" — ამბობს თამაზაშვილი, რომელიც ცამეტი წელია, გერმანიაში ცხოვრობს.

„ყველა უნდა შეეგუოს, რომ იენა უფრო ინტერნაციონალური გუნდი იქნება, ვიდრე აქამდე იყო" — ეს კი „კარლ ცაისის" კიდევ ერთი ფეხბურთელის, რაინერ ციპფელის სიტყვებია.

„ქართველები? რატომაც არა? თან საქმე კვალიფიკაციასა და ფასს ეხება. ისინი ეროვნული ნაკრების მოთამაშეები არიან" — დასძენს ციპფელი.

იენელთა მწვრთნელი ფრანკ ნოიბარტი კი ზუსტად განმარტავს ქართულ-გერმანულ დამეგობრებას: „გვისახელებდნენ მოთამაშეებს, ჩვენ ვითვალისწინებდით მათ აზრს და ტესტებზე ვიწვევდით. თუ რომელიმე მათგანი არ მოგვეწონებოდა, უფლება გვქონდა, გაგვეშვა".

ვინ იყვნენ „დამსახელებლები" და ვისი მეშვეობით ხდებოდა მათთან თანამშრომლობა? კითხვას, რომელიც „კარლ ცაისის" „გაქართველებას" ეხება, პასუხი ნოიბარტმა გასცა: „კონტაქტებს სერგეი კირიაკოვისა და რალფ მინგეს მეშვეობით ვამყარებდით. აქამდე ეს თანამშრომლობა წარმატებული იყო" — ამბობს ნოიბარტი და მაგალითისთვის გიორგი ლომაია და მიხეილ აშვეთია მოჰყავს, მერე კი ილია კანდელაკსა და გიორგი სეთურიძეს აქებს: „კანდელაკმა დაგვიმტკიცა, რომ კარგად ერკვევა სათამაშო სიტუაციებში, სეთურიძე კი ძალიან სწრაფია".

სეთურიძემ ეს ვარჯიშებზეც დაამტკიცა, როდესაც 30 მეტრი 3,8 წამში გაირბინა და ტობიას ვერნერთან, ფელიქს ჰოლცნერთან და ფლორიან ჰაიდენრაიხთან ერთად ყველაზე სწრაფი ფეხბურთელთა გუნდში.

ნოიბარტს არც რევაზ ბარაბაძე დავიწყებია. მწვრთნელის თქმით, 18 წლის თავდამსხმელი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ კიდევ აკლია კოორდინაცია და დინამიკა. ამ პრობლემის დასაძლევად კი დროა საჭირო.

ამასობაში „კარლ ცაისმა" კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა ჰოლანდიურ „მაასტრიხტთან" და 0:1 წააგო. სამი ჩვენებური შეცვლაზე შევიდა — გიორგი ონიანი 63-ე წუთზე, კანდელაკი და სეთურიძე შესვენების შემდეგ. ბარაბაძეს არ უთამაშია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რუსებმა ასათიანი სხვაგან ნახეს: წინ!



„ხიმკისთან" 2:1 მოგებულ მატჩში მალხაზ ასათიანმა შეტევაში რომ ითამაშა, გეცოდინებათ. მოსკოვის „ლოკომოტივი" სწორედ ქართველი ფეხბურთელის წყალობით დანინაურდა — ასათიანი მეკარესთან პირისპირ გავიდა და დრამან ტრაორეს ცარიელ კარში გაატანინა. რუსები ასათიანის გამთამაშებლობით მოხიბლულნი და გაკვირვებულნი დარჩნენ — ქართველი ლეგიონერი ახალ ამპლუაში ვნახეთო... აბა, რუსებმა საიდან იციან, რომ მალხაზი ლამის დაბადებიდან გამთამაშებელია...

— როდის გაიგე, რომ მოედანზე ახალი დავალების შესრულება მოგიწევდა?

— თამაშის წინ. თუმცა ეს ჩემთვის ახალი ამპლუა სულაც არ იყო — საქართველოს ნაკრებში გამთამაშებელი ვარ. ახლა კი ძველის გახსენება მომიხდა, რადგან შეტევაში უკვე კარგა ხანია, აღარ მითამაშია.

— გახსოვს, კლუბში ბოლოს როდის ითამაშე ამ ადგილზე?

— 2005 წელს, უეფას თასზე „ესპანიოლთან". რუსეთის ჩემპიონატშიც მომხდარა ეს ერთი-ორჯერ.

— მართალია: 2005 წელს გროზნოს „ტერეკთან" გამთამაშებელი იყავი და გოლი და საგოლე პასი მიითვალე...

— მართლა? ამის დავიწყება უკვე მომისწრია... „ხიმკისთანაც" გავაკეთე საგოლე პასი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამით კმაყოფილი დავრჩი. ეს სულაც არ იყო ჩემი საუკეთესო თამაში.

— ამიტომაც შეგცვალეს 62-ე წუთზე?

— შეიძლება. თუმცა ეს უფრო დაღლილობის ბრალი იყო. ამხელა პაუზის შემდეგ ფორმის აღდგენა ძნელია. თან ნახევარდაცვაში ხომ უფრო მეტი სირბილია საჭირო...

— ტრავმის კვალი სხვამხრივ არ გეტყობა?

— არა, ღმერთის წყალობით, არაფერი მაწუხებს. მხოლოდ „ფიზიკაში" მიჭირს...

— მართალია, რომ ახლახან ავსტრიულ შეკრებაზეც დაგაყენა ანატოლი ბიშოვეცმა ნახევარდაცვაში?

— მართალია.

— რა შეუძლია „ლოკომოტივს" მიმდინარე სეზონში? პირველი წრე ხომ საკმაოდ არადამაჯერებლად ჩაატარეთ...

— როგორც ადრე, ახლაც პირველი ადგილი გვინდა. ამიტომაც იქნებოდა ჩვენთვის დამღუპველი „ხიმკისთან" ქულების დაკარგვა...

— კი მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ „ხიმკისთან" ძალიან გაგიმართლათ...

— არ შეგეკამათებით. „ხიმკიმ" მაგრად გვანერვიულა, მაგრამ მაინც მოვიგეთ.

— არ ნერვიულობთ, რომ „ლოკომოტივს" რთული გრაფიკი აქვს — ოთხი მატჩი თერთმეტ დღეში?

— პრობლემას ვერ ვხედავ. პირიქით, ამით ტონუსს შევინარჩუნებთ. კალენდარი არც ერთ გუნდს არ აძლევს უპირატესობას.

# შახტიორი მელქაძესაც უშვებს

## საგანგაშო ამბავი: ყაზახურ ფარმ-კლუბში 18 წლის სამ გაუხმაურებელ ქართველს სინჯავენ

**ყაზახეთის** ჩემპიონატში პირველი წრის შემდეგ გუნდებმა ცოტა ხნით დაისვენეს და უკვე მეორე წრისთვის მზადებას შეუდგნენ. ვარჯიში განაახლა ყარაგანდის „შახტიორმაც", თუმც გამორიცხული არაა, მეორე წრეში ეს გუნდი სულაც უქართველოდ დარჩეს.

გიორგი გაბიდაურის „შახტიორიდან" წასვლაზე ორიოდ კვირის წინ ალაპარაკდნენ. მას რუსთავის „ოლიმპის" მეტოქე „ასტანა" ეპატიჟება.

ახლა კი კლუბმა ტრანსფერზე დააყენა ლევან მელქაძე, რომელიც სეზონის წინ ჩაირიცხა „შახტიორში", თუმც პირველ წრეში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ძირითად შემადგენლობაშიც ველარ ხვდებოდა.

„შახტიორში" გასინჯვაზეა ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი ფეხბურთელი გიორგი გურული, თუმც იქაური პრესის ცნობით, ჩვენებურს ალბათ არ დაიტოვებენ.

და კიდევ ერთი ცნობა „შახტიორიდან": 1989 წელს დაბადებული სამი ქართველი ფეხბურთელი, რომელთა გვარები რატომღაც არ ხმაურდება, „შახტიორის" ფარმ-კლუბში, „შახტიორ-იუნიოსტში" არიან გასინჯვაზე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



დავით მუჯირი და ლევან გვაზავა „კრილიაში" ყოფნისას

# რუსულპასპორტიანმა გვაზავამ საქართველო ვერ გადაწყვიტა

**ნალჩიკის** „სპარტაკის" ქართველმა ნახევარმცველმა ლევან გვაზავამ რუსეთის პასპორტი რომ მიიღო, გეცოდინებათ. მოდით, გავიგოთ, რატომ მიიღო ჩვენებურმა ასეთი გადაწყვეტილება...

„პირველ რიგში, რუსულ პრემიერლიგაში დაწესებული ლიმიტის გამო. მეორეც, ჩემი მეუღლე რუსია, ვლადიკავკაზელი. აი, ამიტომ გადავწყვიტე რუსეთის პასპორტის აღება" — განმარტა ლევანმა.

გვაზავას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია და თავის დროზე ალან ჟირესსაც ჰყავდა ეროვნულში გამოძახებული, თუმც შემდეგ არავის მიუწვევია. ეს ფაქტი რუსებსაც გაახსენდათ და, ამით საქართველოს ნაკრებში თამაშის გზა ხომ არ მოიჭერიო, ჰკითხეს.

„ჯერ არ ვიცი, შევინარჩუნებ თუ არა საქართველოს მოქალაქეობას. რაც შეეხება ნაკრებში თამაშს, ახალგაზრდულში რეგულარულად ვიყავი, ეროვნულშიც გამომიძახა ჟირესმა, მაგრამ ახლა აღარავინ მეხმიანება" — აღნიშნა გვაზავამ.

გვაზავამ წინა სეზონიც ნალჩიკში გაატარა, თუმც იშვიათად უწევდა თამაში. მერე სამარას მიაშურა და „კრილია სოვეტოვში" ისინჯებოდა, მაგრამ ბოლოს ისევ ნალჩიკს დაუბრუნდა.

„შარშან ნალჩიკში რომ მივედი, გუნდი უკვე დაკომპლექტებული იყო, ჩემპიონატში ლიდერობდა, ამ დროს კი შემადგენლობას არ ცვლიან. თან, არც მე ვიყავი სრულ მზადყოფნაში. სეზონის ბოლოს კონტრაქტი დამისრულდა და „კრილიაში" წავედი. მაშინ იქ გაჯი გაჯიევი იყო მწვრთნელი, რომელმაც მალე გუნდი დატოვა, ჩემი ტრანსფერიც ჩაიშალა. წლეულსაც მოუმზადებელი შევხვდი სეზონს — სავიზო პრობლემების გამო პირველი ორი შეკრება გამიცდა, გუნდს მხოლოდ მესამე შეკრებაზე შევუერთდი. ვფიქრობ, ახლა კარგ ფორმაში ვარ" — დასძინა გვაზავამ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ამისულაშვილის შანსი: ალბათ უფრო რუსეთი

**მომავალ** კვირაში ალექსანდრე ამისულაშვილს ნალჩიკის „სპარტაკში" განათხოვრების ვადა ეწურება. მოგეხსენებათ, ქართველი ფეხბურთელი კიევის „დინამოს" ეკუთვნის და ყაბარდოელებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები უკრაინელებთან. თუ რუსულ წყაროებს ვენდობით, ჩვენებური ისევ რუსეთში ითამაშებს.

„ჯერ მოლაპარაკების პროცესში ვართ, მაგრამ თემა უახლოეს დღეებში უნდა დაიხუროს. იმედია, ამისულაშვილი ნალჩიკში დარჩება" — განაცხადა „სპარტაკის" მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# CIAO, NAZIONALE!

## ფრანჩესკო ტოტი ნაკრებს დაემშვიდობა



AFP

**ფრანჩესკო ტოტი** იტალიის ნაკრებში აღარ ითამაშებს. „რომას" ლიდერმა, ბოლოს და ბოლოს, ეს ოფიციალურად დაადასტურა. ინფორმაცია მოულოდნელი არ გახლავთ, რადგან მისი ბოლოდროინდელი განცხადებებიდან გამომდინარე, ეს არც ისე რთულად გამოსაცნობი იყო.

შეგახსენებთ, რომ „პუპონეს" ნაკრებში 2006 წლის მუნდიალის ფინალის მერე აღარ უთამაშია და აქამდე დაზუსტებით არ ამბობდა, დაბრუნდებოდა თუ არა „სკუადრა ატურაში".

„ნაკრებს ვტოვებ. სიტყვა „დასრულება" არ მიყვარს, მაგრამ ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც რამდენიმე მიზეზის გამო მივიღე. ბევრი ვიფიქრე, ვარიანტები გადავხარშე და საბოლოოდ გადავწყვიტე, აღარ დავბრუნდე. ვწუხვარ, მაგრამ ჯანმრთელობა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია" — თქვა 30 წლის ტოტიმ „რომას" ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე.

საინტერესოა, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ ცოტა ხნის წინ განაცხადა — ჩვენ სერიოზული განრიგი და გეგმები გვაქვს, ამიტომ ტოტისა და ალესანდრო ნესტას უსასრულოდ ვერ დაველოდებით და გაურკვევლობაში ყოფნა არ გვინდა, მათ ივლისის ბოლომდე უნდა თქვან, რას აპირებენო. თუ ტოტიმ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, ახლა ჯერი „მილანის" მცველზეა.

ფრანჩესკო ტოტი: „ნაკრებშიც და „რომაშიც" ვერ ვითამაშებ, ეს შეუძლებელია. ამ საკითხზე კიდევ ერთხელ ვესაუბრე ლუიჯი რივას და „სკუადრა ატურას" მწვრთნელ რობერტო დონადონის, რომლებსაც ჩემი გადაწყვეტილება გავაცანი".

ტოტიმ სანაკრებო კარიერა 1998 წელს დაიწყო — „სკუადრა ატურას" ღირსება 59-ჯერ დაიცვა და 9 გოლი გაიტანა.

**გიორგი ძაძამიძე**

# დღეს ყველაფერი ფეხზე ჰკიდია


AFP

**მოკლედ,** ასეთი სურათი იკვეთება: „ჩელსის“ სთხოვენ დღეს, „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ ამხანაგურ შეხვედრაში დევიდ ბექჰემის წინაალმდეგ არ იუხეშოს. დიახ, ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს კოჭი გაუსივდა, მაგრამ ახალ გუნდში 250 მილიონიც აქვს ასაღები, ასეთ ფულად კი, ერთი ფეხი იქით, ერთი ფეხი აქეთ...

ამრიგად, ბექჰის დებიუტი თავდაპირველი გეგმის თანახმად, „ჩელსისთან“ შედგება. „ლოს ანჯელეს გალაქსის“ შეფებს ამ მოვლენის ტელეტრანსლაციის ამბავიც კი მოკვარახჭინებული აქვთ და სტადიონზეც 27 ათასი ბილეთია გაყიდული (ეს ლოს ანჯელესისთვის, სადაც „გალაქსის“ თამაშს ოთხშაბათს 2 ათასი კაცი დაესწრო, საოცარი შედეგია), რაც იმას ნიშნავს, რომ ბექჰმა რომ ვერ ითამაშოს, ის ხალხი, ვისაც ფეხბურთი ამ შაბათ დღეს უნდა შეაყვარონ, ჩვენი სახეობისკენ აღარასოდეს გაიხედავს.

მაგრამ მედალი იმის მედალია, რომ ორი მხარე აქვს. კერძოდ, რისკია ძალიან დიდი. ჯონ ტერისა და მიკაელ ესიენის პატრონმა „ჩელსიმ“ ვიქტორია ადამსის მეუღლეს ერთი თამაში „პადკატი“ რომ შეუსრულოს, 250-მილიონიანი ვარსკვლავი ამერიკელებმა, შესაძლოა, კარგა ხანს ვეღარ იხილონ მოედანზე.

ასე და ამგვარად, ბექჰი ფაქიზ მოპყრობას ითხოვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლონდონელებმა ბურთი კიდეც უნდა მიალებინონ და კიდეც ჩააწოდებინონ.

ისე, ამბობენ, რომ ლოსანჯელესელები ბექჰემს უფრო, ალბათ, მეორე ტაიმში იხილავენ, რადგან გასულ კვირაში მისი ვარჯიშ-ლაითების შემყურე ჟურნალისტებს შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ ის ორი ტაიმის გამძლები არ უნდა იყოს.

მოგეხსენებათ, კოჭის ტრავმა ინგლისელმა ნახევარმცველმა 6 ივნისს, ესტონეთის ნაკრების წინააღმდეგ ევროშესარჩევ შეხვედრაში მიიღო.

შეგახსენებთ იმ ამბავსაც, ორიოდ დღის წინ რომ მოხდა: „ჩელსის“ ბიჭებმა ბექჰემს მესიჯები უგზავნეს, რომ შეგხვდებით, დაგლეწავთო. ბუნებრივია, ეს ინგლისელ თანანაკრებელთა ხუმრობა იყო და მეტი არაფერი, მაგრამ ხალხის ამბავი ხომ იცით, მით უფრო ისეთ ვითარებაში, რომელიც ზევით აღვწერეთ და რომლის შესახებაც აგერ უკვე რამენიმე დღეა, მოგახსენებთ. ჟურნალისტებს მავან ბიჭებთან დაახლოებულის მოძებნაც კი დასჭირდათ, რომელმაც თქვა, ეს მხოლოდ და მხოლოდ შაყირი იყო და დევიდმაც სწორედ ასე მიიღოო.

და კიდევ, ზემოთქმულის გარდა, ინგლიური პრესა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „ლოს ანჯელეს გალაქსი“ საოცრად სუსტი გუნდია, რომლის ფეხბურთელიც... ინგლისის ნაკრებისთვის საჭირო დონეზე ვერაფრით ითამაშებს, ასე რომ...

**ბაბუნა ბედია**

# ჩელსი და ისინი

**რასაკვირველია,** „ჩელსის“ ფეხბურთელებს ამერიკულ შეკრებაზე მუხლჩაუხრელი შრომა უწევთ, მაგრამ დასვენება, როგორც მოგეხსენებათ, შრომის შემადგენელი ნაწილია და, ბუნებრივია, ისიც ხარისხიანი უნდა იყოს — მას მერე, რაც ორი ამხანაგური თამაში მოიგეს, „ლურჯებმა“ ბევერლი ჰილზში ერთი კარგი საღამო მოაწყვეს, სადაც მათ გასაცნობად ამერიკის საუკეთესო დიაცნი მივიდნენ.

საღამოზე იყვნენ პერის ჰილტონი, სასტუმროთა ქსელის მემკვიდრე, კინო, სექს და ასე შემდეგ ვარსკვლავი, ზოგადად კი, ფრიად განებივრებული და თავგადასავლებით აღსავსე ქალბატონი; სერენა უილიამსი, რომლის ვინაობას, ცხადია, არ შეგახსენებთ, უბრალოდ, გამოჩენილი, ასე ვთქვათ, მაღალ საზოგადოებაში გასული ქალი ვიქტორია ჰივერი, მოდელი კიმბერლი სტიუარტი და სხვანი. ეს ის ხალხია, რომელთაც ლოს ანჯელესში ყველაზე ხშირად უღებენ ფოტოს და, ბუნებრივია, პოზიორობა არც ამჯერად ასცდენიათ.

**ბაბუნა ბედია**


პერის ჰილტონი


კიმბერლი სტიუარტი


შონ რაიტ-ფილიპსი და დიდიე დროგბა

## ბრალდებული კრუზი

**არგენტინელი** ფორვარდი ხულიო რიკარდო კრუზი კარიერის დასრულებას „ინტერში“ აპირებს.

იტალიური მედია ამტკიცებდა, ფეხბურთელს „რომაში“ უშვებენ კრისტიან კივუს სანაცვლოდ, რადგან რობერტო მანჩინისთან ურთიერთობა წაუხდაო, მაგრამ კრუზმა სეზონისწინა პირველ მატჩში გოლი გაიტანა ჩინეთის ოლიმპიურ ნაკრებთან და განაცხადა: „არასოდეს მითქვამს, რომ მანჩინისთან კონფლიქტი მაქვს და ამის გამო „ინტერიდან“ მივდივარ. ჩემი გვარი ბევრჯერ ვნახე გაზეთში და არ მესიამოვნა, რომ რაღაცეებს მაბრალებენ. ეს გუნდი ოჯახივითაა, აქაურობა მიყვარს და კარიერას „ინტერში“ დავასრულებ“.

## გალიანიმ ზაფხული დახურა

**ადრიანო გალიანიმ** განაცხადა, რომ „მილანი“ ამ ზაფხულს სუპერფორვარდს აღარ იყიდის.

რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდა „შავ-წითელთა“ ვიცე-პრეზიდენტი თავდამსხმელის ყიდვას, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, რომ გუნდის შეტევაში სამომავალსეზონოდ ახალი სახე არ გამოჩნდება.

„არც ეტოოს ვყიდულობთ და არც რონალდინიოს“ — თქვა გალიანიმ — 30 მილიონიც არ შეგვითავაზებია „ბარსასთვის“ ეტოოში, როგორც მედიაში წერენ, რადგან კამერუნელი არ იყიდება. მათ გარეშეც საკმაოდ ძლიერი გუნდი გვეყოლება. კაკა ჩემპიონთა ლიგის მთავარმევოლე გახდა და 200 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ დარჩება. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს რონალდო, ინძაგი და ჯილარდინო“.

## ლავის ქეიფი გრძელდება

**„კოპა ამერიკას“** მომგებმა ვაგნერ ლავმა მოსკოვში ჩასვლა დააგვიანა. ცსკა-ს ფორვარდი ოთხშაბათს უნდა დაბრუნებულიყო რუსეთში, მაგრამ ქეიფი გაუგრძელდა და შეიძლება ერთი თვის ხელფასით (150 ათასი დოლარი) დააჯარიმონ.

ვაგნერ ლავი ვალერი გაზაევს სახვალიოდ, „ლოკომოტივთან“ მატჩისთვის სჭირდებოდა. ბრაზილიის ნაკრების ექიმმა კი თქვა, რომ ფეხბურთელს მარჯვენა ფეხის კუნთი სტკივა და სამშობლოში მკურნალობს. ცსკა-ს ექიმები თუ დაამტკიცებენ, რომ ტრავმა მოგონილია, ბრაზილიელს ჯარიმა არ ასცდება.

შარშან ივიცა ოლიჩს დაგვიანებისთვის 60 ათასი დოლარი ჩამოაჭრეს.

## კავანი ჭორია

**„პალერმოს“** ფორვარდ ედისონ კავანის აგენტმა განაცხადა, რომ ფეხბურთელი ამ ზაფხულს „მილანში“ არ გადავა. ურუგვაელი იანვარში მივიდა „პალერმოში“ და ამბობდნენ, თითქოს მისი ყიდვა „მილანს“ სურდა, მაგრამ კლაუდიო ანგელუჩიმ თქვა: „პრესაში რაც წერია, მონაჭორია. კავანი „პალერმოში“ ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს. „მილანისგან“ შემოთავაზება არ მიგვიღია“.

## მწვრთნელი ღამის კლუბიდან

**პერუს** ნაკრების მწვრთნელი ხულიო სესარ ურიბე მოხსნეს. მისი თავკაცობით გუნდი „კოპა ამერიკას“ მეოთხედფინალში გავიდა და არგენტინასთან 0:4 წააგო. მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პერუს უკვე სხვა გაუძღვება.

ურიბეს გათავისუფლების მიზეზი მხოლოდ მარცხი არაა. მარტში, იაპონიასთან წაგების (0:2) შემდეგ ღამის კლუბში წასულა და გვარიანად გამომთვრალა. „კოპა ამერიკაზე“ კი ფეხბურთელებმა დაიჩივლეს, საქმეს ფეხებზე იკიდებს და სათანადო ყურადღებას არ გვაქცევსო. ურიბე კი პირიქით — მოთამაშეებზე ამბობდა, ფიზიკურად მზად არ არიანო.

## ფაულერის უარი

**ავსტრალიურმა** „სიდნეიმ“ განაცხადა, რომ რობი ფაულერმა მათი შეთავაზება უარყო. ინგლისელი ფეხბურთელი ერთი კვირის წინ ჩავიდა სიდნეიში იქაურებთან კონტრაქტზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ ვერ მოურიგდა.

„ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ მის დასაყოლიებლად და ამ საქმიდან, სამწუხაროდ, არაფერი არ გამოვიდა“ — თქვა კლუბის შეფმა ჯორჯე პერიმ.

## კოლინა კოლინებს გაანაწილებს

**პიერლუიჯი** კოლინას მსაჯების დამნიშნავის თანამდებობა ჩააბარეს. ეს ამბავი ორი კვირის წინ გადაწყდა და გუშინ ოფიციალურად გაფორმდა. 47 წლის კოლინა სერია A-ს და B-ს მატჩებზე კოლეგებს გაანაწილებს.

„ვიცი, რომ ჩემგან ბევრს ელიან და ვპირდები, თავდაუზოგავად ვიშრომებ, რათა იტალიური ფეხბურთის შარშან შებღალული სახელის რეაბილიტაცია შევძლო“.

## კარიცო კარიდან კარში

**„რივერ პლეიტის“** მეკარე ხუან პაბლო კარიცო „ლაციოში“ გადავიდა. 23 წლის გოლკიპერში რომაელებმა 10 მილიონ 300 ათასი დოლარი გადაიხადეს. კარიცო ანჯელო პერუცის შეცვლის, რომელმაც წინა სეზონის ბოლოს დაასრულა კარიერა. არგენტინელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და წელიწადში 900 ათას დოლარს მიიღებს.

**გაგა ხუციშვილი**





# კაპელო ტელევიზიაში მიდის
## ბედის ირონიით, საკი ბრუნდება

**მადრიდის** „რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დათხოვნილმა ფაბიო კაპელომ რამდენიმეკვირიანი უგუნდობის შემდეგ გადაწყვიტა, ერთი წელი მწვრთნელობისგან დაისვენოს. იგი ტელეკომპანია RAI-ზე კომენტატორად იმუშავებს.

გამოცდილ ტაქტიკოსს ასეთი ნაბიჯი რამდენიმე წლის წინაც გადაუდგამს. სხვათა შორის, იგი მხოლოდ საფეხბურთო მატჩების კომენტატორობით არ შემოიფარგლება. 2006 წლის ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე, დონ ფაბიო ჰოკეის რამდენიმე თამაშსაც კი გაუძღვა.

შეგახსენებთ, „რეალიდან" წასვლის მერე, კაპელომ ამერიკული და რუსული კლუბებისგან მიიღო წინადადებები, მაგრამ ისინი უარით გაისტუმრა.

ამასობაში, ბედის ირონიით, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, შესაძლოა, მწვრთნელობა განაახლოს არიგო საკიმ. მოგეხსენებათ, იგი და კაპელო კატა-თაგვივით არიან და პრესის ფურცლებზე ერთმანეთს ხშირად აქილიკებენ.

„თუ გამოჩნდება გუნდი ნიჭიერი ფეხბურთელებითა და კარგი გეგმებით, რატომაც არა? თუ მწვრთნელის არა, შესაძლოა, ერთ-ერთი ხელმძღვანელის რანგში მოგევლინოთ რომელიმე კლუბში" — თქვა საკიმ.

აღვნიშნოთ, რომ ამ თვის „უორლდ სოკერმა" თავისი საინტერნეტო გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა და 1989-90 წლების „მილანი", რომელმაც ჩემპიონთა ლიგა, საკონტინენტთაშორისო თასი და ევროპის სუპერთასი მოიგო, ყველა დროის საუკეთესო კლუბად დაასახელა. იმ „როსონერის" სათავეში სწორედ არიგო საკი ედგა.

**ქოქი ქანდელაკი**

# აბრამოვიჩმა რობენი დაამუხრუჭა

**რომან აბრამოვიჩმა** არიენ რობენის ტრანსფერს ვეტო დაადო — წერს „სანი".

მილიარდერმა პირადად უთხრა მადრიდის „რეალის" სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელი 50 მილიონ გირვანქადაც კი არ იყიდება. ჟოზე მაურინიუს უთქვამს აბრამოვიჩისთვის, რობენი მჭირდებაო და პატრონიც თანახმაა.

გარდა ამისა, პორტუგალიელი მწვრთნელი ფრენკ ლამპარდისა და შონ რაიტ-ფილიპსის შენარჩუნებასაც აპირებს.

არიენ რობენს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ კვირაში 85 ათასი გირვანქით, ფეხბურთელი კი 100 ათასს ითხოვს.

**გაგა ხუციშვილი**

# ფოგელს ევერტონში ელიან

**შვეიცარიელი** ნახევარმცველი იოჰან ფოგელი „ბეტისიდან" „ევერტონში" გადადის. მან უკვე შეათანხმა პირადი კონტრაქტის პირობები ლივერპულურ კლუბთან. ფოგელმა 2005-2006 წლები „მილანში" გაატარა და 11 მატჩი ითამაშა, შემდეგ კი „ბეტისში" აღმოჩნდა. იგი იმ გარიგების ნაწილი იყო, რომლითაც რიკარდო ოლივეირა „ბეტისიდან" „მილანმა" იყიდა.

30 წლის შვეიცარიელი „ევერტონთან" ორწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

# იბრაჰიმოვიჩი 50 მილიონად

**იტალიური** მედიის ცნობით, სვენ გორან ერიკსონი გადაირია — „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელს „ინტერიდან" თანამემამულე ზლატან იბრაჰიმოვიჩის ყიდვა სურს და 50 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებსო.

„სიტიმ" ამასწინათ იტალიური „რეჯინადან" ფორვარდი როლანდო ბიანკი შეიძინა.

მანჩესტერული კლუბის პატრონი ტაქსინ შინავატრა ფულს არზოგავს გუნდის გასაძლიერებლად და ერიკსონსაც მისი ჯიბისა ეიმედება.

# ჰეიდარი ლისთვის

**„ფულემისა"** და ისლანდიის ნაკრების ფორვარდი ჰეიდარ ჰელგუსონი „ბოლტონში" გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ბოლტონი" პრემიერლიგაში მეშვიდე ადგილზე გავიდა და უეფას თასზე ითამაშებს. გუნდს სემი ლი წვრთნის, რომელმაც „ნიუკასლში" გადასული სემ ალარდაისი შეცვალა. „ბოლტონისთვის" ჰელგუსონი პირველი შენაძენია ამ ზაფხულს. ისლანდიელის გარდა სემი ლის თავდასხმაში ჰყავს ნიკოლა ანელკა, კევინ დევისი და რიკარდო ვაზ ტე.

# სიმაო ატლეტიკოსია

| 17054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.85 | 1.95 |
| 17185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ავსტრია კ-რიდი | 1.80 | 2.00 |
| 14004 | აუსტრია-ზალცბურგი | 2.00 | 1.80 |
| 14005 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1.70 | 2.20 |
| 14008 | თუნი-სიონი | 1.95 | 1.85 |
| 14009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 2.10 | 1.75 |
| 14010 | ბაზელი-ციურიხი | 1.70 | 2.20 |
| 14021 | როსტოვი-ენერგია | 1.75 | 2.10 |
| 14022 | სატურნი-ტომსკი | 1.70 | 2.20 |
| 14023 | სპარტაკი მ-ზენიტი | 1.80 | 2.00 |
| 14024 | მოსკოვი-კრილია | 1.65 | 2.30 |
| 14026 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 1.90 | 1.90 |
| 14027 | ნალჩიკი-ყუბანი | 1.75 | 2.10 |
| 14049 | სანდეფიორდი-ლინი | 2.00 | 1.80 |
| 14050 | ბრანი-სტაბეკი | 1.75 | 2.10 |
| 14051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 2.10 | 1.75 |
| 14052 | ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 1.75 | 2.10 |
| 14053 | სტარტი-ალესუნდი | 1.65 | 2.30 |
| 14054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.70 | 2.20 |
| 14055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.65 | 2.30 |
| 14068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.80 | 2.00 |
| 14069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.75 | 2.10 |
| 14070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.75 | 2.10 |
| 14185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 1.45 | 2.40 |
| 14186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 2.20 | 1.70 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ავსტრია კ-რიდი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | აუსტრია-ზალცბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | თუნი-სიონი | 1.55 | 2.10 |
| 13009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 1.60 | 2.00 |
| 13010 | ბაზელი-ციურიხი | 1.60 | 2.00 |
| 13049 | სანდეფიორდი-ლინი | 1.55 | 2.10 |
| 13050 | ბრანი-სტაბეკი | 1.45 | 2.30 |
| 13051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 1.50 | 2.10 |
| 13052 | ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 1.55 | 2.10 |
| 13053 | სტარტი-ალესუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.50 | 2.10 |
| 13055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.60 | 2.00 |
| 13068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.70 | 1.90 |
| 13070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.70 | 1.90 |
| 13185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 1.60 | 2.00 |
| 13186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 1.60 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



# იჩქარე ნელა

## აზოტს საევროპოდ სასახლე უნდა

**ახლა სანაკრებო ციებ-ცხელება კია, მაგრამ საკლუბო თემასაც ნუ დავივიწყებთ, მით უფრო, რომ დამდეგი სეზონი ქართული საკლუბო კალათბურთისთვის გამორჩეულია. ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ჩვენებური გუნდი ევროსარბიელს უბრუნდება: საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „აზოტი" ფიბა-ევროპის ორგანიზებულ ევროთასად წოდებულ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრი ოქტომბერში იწყება და რუსთაველებიც არ ჩქარობენ გუნდის დაკომპლექტებას. ჯერ კენჭისყრა გაიმართოს, ჩვენი მეტოქე გაირკვეს და შემადგენლობასაც მერე შევარჩევთო. აქედანვე ცნობილია, რომ „აზოტი" საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს ევროთასში თამაშს და თუკი ჯგუფში შეძვრა, მერე, იცოცხლეთ, კარგ თამაშს ვნახავთ...**

— ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ 16 გუნდი იმიტომ იქნება, რომ ფიბა-ევროპა ამ გუნდებისთვის საკმაოდ სერიოზული დახმარების გაწევას აპირებს და ბევრ კლუბს ველარ გასწვდებოდა — გვითხრა „აზოტის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ამირან ხაჩიძემ.**

**— რა სახის დახმარებაზეა ლაპარაკი?**

— იმ 16 გუნდისთვის, რომლებიც ჯგუფებში იქნებიან, ფიბა-ევროპა მგზავრობის შეღავათებს დააწესებს. ანუ კლუბების ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობის საფასურის ნაწილს ეს ორგანიზაცია გაიღებს. იქნება კიდევ სხვა სახის შეღავათები, რაც შედარებით მცირებიუჯეტიან გუნდებს მძიმე ტვირთად აწევთ ხოლმე.

**— ჯგუფში გასასვლელად რამდენი ბარიერის გადალახვა გჭირდებათ?**

— ალბათ ორი გუნდის გავლა იქნება საკმარისი, თუმცა ჯერჯერობით მონაწილეთა ზუსტი რაოდენობა დადგენილი არაა. მოგეხსენებათ, ქართული კლუბები ევროტურნირებზე ბოლო ხუთი წელი არ თამაშობდნენ და საქართველოს კოეფიციენტი არ გააჩნია. ჯგუფებში კი წინასწარ ის გუნდები მოხვდნენ, რომლებსაც საუკეთესო შედეგები ჰქონდათ.

**— რამდენ გუნდს აქვს ჯგუფში ადგილი გარანტირებული?**

— 8 გუნდს. ამდენივე ადგილისთვის კი დანარჩენი გუნდები საკვალიფიკაციო ეტაპზე იბრძოლებენ და მათ შორის ჩვენც.

**— გუნდში რა ცვლილებებია?**

— ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ „აზოტს" დავით უსტიაშვილი და მიხეილ ბერუაშვილი გაწვრთნიან. ყველა მოთამაშეს კონტრაქტი ამოეწურა და ახლების გაფორმებას ჯერ არ ვჩქარობთ.

**— როდის იზრუნებთ გუნდის შეკრებაზე?**

— 5 აგვისტოს ევროთასის კენჭისყრა გაიმართება, ჩვენი პირველი მეტოქე გაირკვევა და მერეღა დავიწყებთ მოთამაშეთა შეკრებას. რატომ ვიჩქაროთ, ჯერ საკმარისი დროა ტურნირის დაწყებამდე. ფიბა-ევროპაში განაცხადების შეტანის ვადა 5 სექტემბრამდეა, საკვალიფიკაციო მატჩები კი ოქტომბერში იწყება.

**— მოთამაშეთა ვინაობა ჯერ ცნობილი არაა, მაგრამ ის ხომ იცით, ლეგიონერები გეყოლებათ თუ არა?**

— უცხოელით ალბათ გავძლიერდებით, მაგრამ რამდენით, ჯერ არ ვიცით. ლეგიონერები გასულ სეზონშიც გვყავდა, როცა ევროპაში არ ვთამაშობდით და, ცხადია, ახლაც არ ვიტყვით უარს.

**— ევროთასის შინაურ მატჩებს სად გამართავთ?**

— რუსთავის დარბაზი ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და მეტოქეს თბილისში, სავარაუდოდ, სპორტის სასახლეში ვუმასპინძლებთ. ოქტომბრისთვის ქვეყნის მთავარი სპორტული არენის რეკონსტრუქცია დასრულებული იქნება. და ჩვენი სურვილია, იქ ვითამაშოთ.

**ირაკლი ბერტაია**



# ბეგი დარჩია ბაკურიანიდან: ბორჯომში ჩავალთ და ვიტყვი

**ბერძენ-რომაელები სეზონის უმთავრეს ტურნირზე, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბაქოში 17-19 სექტემბერს იჭიდავებენ. იქამდე კი მხოლოდ შეკრებები და ერთადერთი ტურნირი რჩებათ. ბეგი დარჩიას სამწყსომ თბილისური ტურნირის დასრულებიდან ორ დღეში უკვე ბაკურიანს მიაშურა შეკრებაზე. ნაკრების თავკაცს აზერბაიჯანულ სამზადისზე გუშინ ტელეფონით ვესაუბრეთ. ინტერვიუს მთავარი თემა კი, რა თქმა უნდა გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი გახდა**



— მსოფლიოს ჩემპიონატის მოსამზადებელ ციკლში თბილისურ ტურნირს რომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ადრეც ბევრჯერ მითქვამს. სწორედ აქაური შედეგებით გამოიკვეთება სასექტემბრო შემადგენლობა, ოღონდ საბოლოო შვიდეულის გარკვევამდე ჯერ მაინც დიდი დროა.

**— ტურნირზე ნაკრების ახალი რეალური კანდიდატიც ხომ არ შეგიმჩნევიათ?**

— გამოჩნდა რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა. ყველაზე დიდი სიურპრიზი კი 55 კილოგრამში მამუკა ხოზრევანიძის ჩემპიონობა იყო. ძალიან კარგად იჭიდავა და ოქროს მედალი ალალად მოიგო.

**— ნაკრების წევრი ირაკლი ჭოჭუა კი საერთოდ უმედლოდ დარჩა...**

— ჭოჭუამაც ჩვეულად დაიწყო და ნახევარფინალამდეც მივიდა, მაგრამ... სიმართლე გითხრათ, ჩემთვისაც ძნელი გასაგებია, რა დაემართა. პირისპირ ჯერ არ გვისაუბრია. მიზეზს აუცილებლად ვკითხავ. შესაძლოა, წლების მანძილზე წონის კლებამ გადაღალა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ გუნდში ჭოჭუაზე რეალური შანსი ხოზრევანიძეს აქვს?**

— ამ ეტაპზე ხოზრევანიძემ წარმოაჩინა მშვენივრად თავი, მაგრამ მოდით, აქვე ვთქვათ, რომ ამ ტურნირზე ყველა წონისთვის პლუს ორი ზედმეტი კილოგრამი იყო დაშვებული, მსოფლიოზე კი ასე არ იქნება. წინ სამი შეკრება და კიდევ ერთი ტურნირია და შიდა კონკურენციაში საუკეთესოც მერეღა გაიკვევა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ მესამე ადგილზე გასული ლაშა გოგიტაძეც. ბაქოში ამ სამეულიდან ერთ-ერთი წავა.

**— რუმინულ ტურნირზე სამივეს აჭიდავებთ?**

— რუმინეთში მხოლოდ ხოზრევანიძეს წავიყვან. გოგიტაძე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იჭიდავებს, ჭოჭუას კი ალბათ მხოლოდ შეკრებებზე დავაკვირდებით.

**— 60 კილოგრამში აშკარა ჩანს ლიდერი, დავით ბედინაძეა. ის „ქარიშხალაშიც" ფავორიტი იყო, მაგრამ ვერცხლს დასჯერდა. მის ფინალურ მარცხს რითი ახსნით?**

— დათომ ფინალამდე ისეთი ბრძოლები შემოატრიალა, ჩემპიონობას აშკარად იმსახურებდა. ვერ ვიტყვი, რომ მოუმზადებელი იყო. შეკრებები კარგად გაიარა, მაგრამ, როგორც ჩანს, გადამწყვეტი ბრძოლის ფსიქოლოგიური ფაქტორის გადალახვას ვერ ახერხებს. დარწმუნებული ვარ, ნავსს დიდ ტურნირზე გატეხს.

**— 66 კილოგრამის ჩემპიონი ლაშა ლომაძე ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ დაასახელეთ. ბაქოს საგზურამდე მასაც კიდევ დასჭირდება პირველობის დამტკიცება?**

— ლაშას საუკეთესოდ დასახელება მარტო ჩემი აზრი არ იყო. ვინც მის ჭიდაობებს უყურა, ყველა დამეთანხმება, რომ მართლა გამორჩეული იყო. ოქრო ისე მოიგო, არც ერთი მეტოქისთვის სეტიც არ დაუთმია. ამ დროისთვის ლომაძე თავის წონაში საუკეთესოა, მაგრამ მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

**— 74 და 96 კილოგრამებში ნაკრების ლიდერებს, მანუჩარ კვირკველიასა და რამაზ ნოზაძეს არ უჭიდავიათ, მაგრამ ორივე წონაში მაინც ქართველებმა იმარჯვეს...**

— ამან ძალიან გამახარა. გენადი გოგიშვილმა და გივი მორჩილაძემ ნაკრების პირველი ნომრები ღირსეულად შეცვალეს. ორივემ გაამართლა იმედები. გოგიშვილი მწვრთნელებმა ყველაზე პერსპექტიულ ქართველ მოჭიდავედაც კი დავასახელეთ. მშვენივრად გამოვიდა და, რაც მთავარია, მისი წარმატებები სტაბილური ხასიათისაა.

**— ორწლიანი შესვენების შემდეგ ხალიჩაზე დაბრუნებული ლადო გეგეშიძისგან თუ ელოდით ფინალში გასვლას?**

— ლადოს ბრწყინვალე სტარტი ჰქონდა. ხანგრძლივი ტრავმიანობის მერე ასე დაბრუნება ყველას როდი შეუძლია. ვფიქრობ, მან ამ ეტაპზე თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა. ბადრი ხასაიას სიძლიერეზე საუბარიც ზედმეტია. ეს ბიჭი სტაბილურად კარგ ფორმაშია და მასთან გეგეშიძის ასე ღირსეულად ჭიდაობა იმედს მაძლევს, რომ მომავალში 84 კილოგრამში ძალიან დიდი კონკურენცია იქნება.

**— მძიმე წონის ლიდერ რევაზ ჭელიძის სამეულს მიღმა დარჩენას რას დააბრალებთ?**

— მთავარი მიზეზი ორთვიანი უქმობაა, რომელიც მუხლის ტრავმამ გამოიწვია. რეზომ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ჩვეულ ფორმაში ჩადგომა ჯერ ვერ მოასწრო. ალბათ შეატყვეთ, წონაც მომატებული ჰქონდა. ნახევარფინალში კი ძალიან ძლიერ თურქთან დამარცხდა.

**— ბაკურიანული შეკრება რამდენ ხანს გაგრძელდება?**

— კიდევ ათი დღე. ეს შეკრება ძირითადად ფიზიკურ მომზადებას ეთმობა. მერე თბილისში დავბრუნდებით და 4 აგვისტოს რუმინეთში გავემგზავრებით. იქ ერთი კვირა ვივარჯიშებთ და 11-ში ტურნირზე ვიჭიდავებთ. აგვისტოშივე მინსკში ერთობლივი ვარჯიშებიც გვაქვს დაგეგმილი. დასკვნით შეკრებას კი ბორჯომში გავიელით. სწორედ მაშინ დავასახელებ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვან შვიდეულს.

**ოთარ გალლაგელიძე**



# საჩელენჯო ექვსკაცა

**გუშინ** საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის სხდომაზე შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ჩვენი კაცთა ნაკრების ევროპის ჩელენჯ ტროფში მონაწილეობას უხელმძღვანელებს.

ექვსწევრიანი კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი თამაზ თევზაძე, რომელიც უკვე სამშაბათს ჩაატარებს პირველ სხდომას სამოქმედო „ცხელი" გეგმის დასაზუსტებლად.

# ბლეიკმა გოლდსტინი ეისებით გადალახა

**კაცები**
შტუტგარტი. გერმანია
თიხნარი. საპრიზო 642 750 €

**მეორე წრე**

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) - ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:3 6:3; ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) — ტომაშ ბერდიხი (3, ჩეხეთი) 6:0 6:3

**მეოთხედფინალი**

ხუან იგნასიო ჩელა (7, არგენტინა) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 2:6 6:3 6:2; სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:1 6:4

**კაცები**
ამერსფორტი. ჰოლანდია
თიხნარი. საპრიზო 353 450

**მეორე წრე**

კარლოს მოია (3, ესპანეთი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:2 6:3

**მეოთხედფინალი**

მიხაილ იუჟნი (2, რუსეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:4 6:3

**კაცები**
ლოს ანჯელესი. აშშ
ჰარდი. საპრიზო 525 000 $

**მეორე წრე**

ზაკ ფლაიშმანი (აშშ) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:6 6:3; რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:2 6:2; ვინსენტ სპადეა (აშშ) — დმიტრი ტურსუნოვი (5, რუსეთი) 6:7 7:5 6:3; ჯეიმს ბლეიკი (2, აშშ) — პოლ გოლდსტინი (აშშ) 6:0 1:6 7:5

**ქალები**
ცინცინატი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

**მეორე წრე**

ელენა ვესნინა (8, რუსეთი) - მენგ იუანი (ჩინეთი) 6:1 6:4; ოლგა გოვორცოვა (ბელარუსი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:7 6:3 6:1; აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) — ბეტანი მატეკი (აშშ) 2:6 7:5 7:6; პატი შნიდერი (2, შვეიცარია) — ბრენდა შულც-მაკარტი (პოლანდია) 6:2 6:3

**ქალები**
პალერმო. იტალია. თიხნარი
საპრიზო 145 000 დოლარი

**მეორე წრე**

ლურდეს დომინგეს-ლინო (ესპანეთი) — კატალინა კრისტეა (რუმინეთი) 7:6 6:0; აგნეშკა რადვანსკა (3, პოლონეთი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:3 6:4; აგნეს სავაი (8, უნგრეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:4 4:6 6:2; ემილი ლუა (4, საფრანგეთი) — კირა ნადი (უნგრეთი) 6:1 6:1


ჯეიმს ბლეიკი

**რაფაელ ნადალის** სათიხნარო ჰეგემონიას ვერავინ და ვერაფერი ემუქრება — ესპანელი ჩვეულად შეუცდომლად და მძლავრად იქნევს ჩოგანს თავის საყვარელ საფარზე. ამჯერად ეს ყველაფერი შტუტგარტში ხდება, სადაც რაფამ მეოთხედფინალს უპრობლემოდ უწია — გზად ორი მასპინძელი დაამარცხა, ჯერ ალექსანდერ ვასკე, მერე კი ფილიპ კოლშრაიბერი. ამ უკანასკნელს მალიორკელმა წლეულს უკვე მესამედ მოუგო და ამაში ხელი ვერც თამაშის დროს გაჭიმულმა კუნთმა შეუშალა. მატჩის შემდეგ რაფამ გულშემატკივრები დაამშვიდა, ტრავმა სერიოზული არ არის და თამაშს უპრობლემოდ გავაგრძელებო. ჰოდა, ნადალი თუ თამაშს გააგრძელებს, მაშინ ალბათ არც მთლიანად ტურნირის მოგება გაუჭირდება — უახლოესი სამიზნე კი ხუან მონაკო გახლავთ.

წინ წაიწია ფელიჩიანო ლოპესმაც, რომელმაც შეჯიბრის მესამე ნომერი ტომაშ ბერდიხი გასაოცრად იოლად დაიფრინა და მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო.

აი, ხუან-იგნასიო ჩელამ და სტანისლას ვავრინკამ კი უკვე ნახევარფინალების საგზურები გაინაღდეს. პირველმა წინა წრეში დავიდ ფერერის გამამწარებელი ფერნანდო ვერდასკო მხოლოდ სამ სეტში გატეხა, შვეიცარიელმა კი ირჟი ვანეკს გაცილებით ნაკლები ძალები შეალია.

ლოსანჯელესში სწრაფი ტემპი აიღო ჯეიმს ბლეიკმა. მან თანამემამულე პოლ გოლდსტინთან მატჩის მეორე სეტი კი ჩააგდო, მაგრამ დროულად მოასწრო გონზე მოსვლა და მესამე პარტიის ბოლოს გაკეთებული ზედიზედ სამი ეისით მეოთხედფინალს უწია.

კალიფორნიაში ერთი მოულოდნელობა მაინც მოხდა, როცა მეხუთე ნომერი დმიტრი ტურსუნოვი ვინსენტ სპადეამ უმძიმესი სამსეტიანი ბრძოლის შემდეგ დაიფრინა.

ჰოლანდიურ ამერსფორტში კი წვიმამ მეჩოგნეთა და ორგანიზატორთა გეგმები გვარიანად არია. მოსწრებით მხოლოდ რუსული მეოთხედფინალი მოესწრო, რომელშიც მიხაილ იუჟნი და ევგენი კოროლიოვი ეცილებოდნენ ერთმანეთს. იუჟნი გაცილებით მაღალი კლასის მოთამაშეა, რომელიც წლეულს სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშობს. აი, კოროლიოვი კი ჯერ მხოლოდ იმით თუ ახსოვთ ჩოგბურთის მოყვარულთ, რომ ის მოდელ-ჩოგბურთელ ანა კურნიკოვას ბიძაშვილია თუ მამიდაშვილია). ჰოდა, აქ კლასმა თავისი გაიტანა და იუჟნიმ ძალიან იოლად იმარჯვა.

ქალთა ტურნირებიდან კი ისევ ცინცინატიში მომხდარზე შევჩერდებით, სადაც მეოთხედფინალში გზა გაიკვალა მეორე ნომერმა პატი შნიდერმა. შვეიცარიელს არ გასჭირვებია ბრენდა შულც-მაკარტის დამარცხება. აღვნიშნოთ ელენა ვესნინას წარმატებაც, რომელიც მენგ იუანს ძალიან ადვილად გაუმკლავდა და ახლა პირველ ნომერ ანა ჩაკვეტაძესთან მოუწევს ნახევარფინალის საგზურისთვის ბრძოლა.

**ბაჩა ლოგუაშვილი**

# დანიცა დაიცდის

ფრანგულ ქონტრექსევილის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის მეორე წრეში საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა მაკა ჩახნაშვილმა 6:1 3:6 6:3 მოუგო 20 წლისა და რეიტინგში 250-ე ადგილზე მყოფ ჩერნოგორიელ დანიცა კრსტაიჩს და მეოთხედფინალში გავიდა.

მაკას შემდეგი მეტოქე გამოცდილი ფრანგი სტეფანი ფორეზია, ვისაც კლასიფიკაციაში ამ წუთისთვის 129-ე პოზიცია უჭირავს, მაგრამ ადრე 62-ე საფეხურზეც ყოფილა.



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

**მეათე ეტაპი** ევროპის დიდი პრიზი

## ნიურბურგრინგი

*ნიურბურგი, 22 ივლისი*



ტრასის სიგრძე ---------------------------------------- 5.148 კმ
რბოლის დისტანცია ---------------------- 60 წრე — 308.863 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

შარშან: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ალონსო (რენო); 3 მასა (ფერარი); 4 რაიკონენი (მაკლარენი); 5 ბარიკელო (ჰონდა); 6 ფიზიკელა (რენო); 7 როსბერგი (უილიამსი); 8 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი)

წრის რეკორდი: 2004 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:29.468 (207,1კმ/სთ)

# გერმანული ორში ერთი
## ჰონდამ ბა-ბა არ დათმო

**იტალიის** არ იყოს, წლეულს გერმანიამაც დაკარგა ერთი საპირველფორმულო ეტაპი — იმოლასა და ჰოკენჰაიმის ლეგენდარული ტრასები „სამეფო რბოლების“ კალენდრიდან ამოიშალა.

„იმოლას“ მოძველებული ინფრასტრუქტურა დაუწუნეს, გერმანელებმა კი ფინანსური პრობლემების გამო — ორი გრან პრის ჩატარებას ვერ. გავწვდებითო, თავად თქვეს უარი გაორებაზე და გამოსავალი იმაში გამოინახა, რომ ამიერიდან „ნიურბურგრინგი“ და „ჰოკენჰაიმრინგი“ წელიწადგამოშვებით უმასპინძლებს „სამეფო“ მრბოლებს. ეგაა, თავიდან ვერ შეთანხმდნენ წლევანდელი ეტაპის სტატუსზე — ევროპის თუ გერმანიის — და ბოლოს მაინც „ევროპა“ დარჩა. შესაბამისად, გაისად ჰოკენჰაიმში გერმანიის დიდი პრიზი გათამაშდება.

ისე, ამ არეულობის გამო ზოგიერთმა ჟურნალისტმა ხვალინდელი ეტაპი „ნიურბურგრინგის გრან პრიდ“ მონათლა.

დღევანდელებიდან ნიურბურგში თითოჯერ გაიმარჯვეს რუბენს ბარიკელომ (2002), რალფ შუმახერმა (2003) და ფერნანდო ალონსომ (2005), ბრიტანელი ბუქმეიკერები კი ფავორიტად წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო ორი რბოლის მომგებ კიმი რაიკონენს ასახელებენ. თუმც იგი იქ ექვსჯერ გაჯირითების მიუხედავად, მხოლოდ ერთხელ გავიდა საპრიზო ადგილზე.

ფინელი ფერარელის კოეფიციენტია 2,75, მის თანაგუნდელ ფელიპე მასას და მოქმედ ჩემპიონ ალონსოს ერთნაირი შანსი აქვთ — 3,75, ხოლო სეზონის ლიდერ მაკლარენელ ლუის ჰემილტონს უფრო ნაკლები — 4,0.

ევროპული ეტაპის წინ გაირკვა „ჰონდას“ საგაისო შემადგენლობა.

მართალია, მიმდინარე ჩემპიონატში ჯენსონ ბატონი და რუბენს ბარიკელო უხეიროდ დაქრიან (მხოლოდ ერთი ქულა), მაგრამ იაპონურმა მეგაკონცერნმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ჯოხიც უფროსობაზე გადატყდა. ერთი სიტყვით, მძღოლთა ბა-ბა დუეტს კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივეს კონტრაქტი, ბოსთა წრეებში კი რადიკალური ცვლილებები მოხდა — გუნდი დატოვა „ჰონდას“ სპორტულმა დირექტორმა, ბრაზილიელმა ჟილ დე ფერანმა — დასახული მაღალი მიზნები ვერ განახორციელეო. კიდევ ორი მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებაა — ტექნიკური დირექტორის პოსტზე „BMW-ზაუბერიდან“ დაიბრუნეს იორგ ცინდერი, ხოლო „უილიამსიდან“ აეროდინამიკის წამყვანი სპეციალისტი ლუკ ბიგუა გადაიბირეს.

ხვალ მშობლიურ „ნიურბურგრინგზე“ გერმანელთა ხუთეული გაიჯირითებს — ნიკ ჰაიდფელდი, რალფ შუმახერი, ნიკო როსბერგი, ადრიან სუტილი და 27 წლის მარკუს ვინკელჰოკი, რომლისთვისაც ეს ცხოვრებაში პირველი საპირველფორმულო რბოლა იქნება. შეგახსენებთ, მარკუსი „სპაიკერ-ფერარის“ ბოლიდში ჰოლანდიელ კრისტიან ალბერსის ადგილს დაიკავებს.

გუშინ პირველ თავისუფალ ვარჯიშზე ვინკელჰოკი ბუნებრივია, მომეტებულად ფრთხილობდა და უხეირო დრო აჩვენა — ოთხ წამზე მეტით ჩამორჩა ყველაზე სწრაფ ჰემილტონს. ორი საათის შემდეგ მეორე გასვლაზე, საუკეთესო დრო რაიკონენმა აჩვენა, მეორე იყო ჰემილტონი, შემდეგ მასა, ალონსო, შუმახერი, ვინკელჰოკს ისევ ყველაზე უარესი შედეგი ჰქონდა.

**გია ახალაძე**

მძლეოსნობა

# ორასის ასეზი ასს მიეტანნენ

**არ არსებობს** ქვეყნად 200 მეტრზე მორბენალი კაცი, ვისაც 100 მეტრზე ჩამოქვეითება და აქაც თავის გამოჩენა არ ჰქონდეს გულში ამოჭრილი. ტაისონ გაიმ წლეულს 200 მეტრს ბდღვირი ადინა, მერე კი 100'ში გამოსცადა თავი და მთლად უკმაყოფილოც არ დარჩენილა. ასე იყვნენ სხვა 200-იანელები და ასე მოიქცა იამაიკელი უსაინ ბოლტიც.

საბერძნეთში გამართულ საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირზე 100-მეტროსანთა შეჯიბრში დებიუტანტი უსაინი ფავორიტად არ ითვლებოდა, მაგრამ მან ისე ირბინა, ყველა და მათ შორის საკუთარი თავიც გააკვირვა — 10,03 წამში გალია 100 მეტრი. იამაიკელს დიდი კონკურენცია გაუწია ამერიკელმა ლეროი დიქსონმა 110,07, ხოლო კიდევ ერთი ნომინალური 200-იანი ვოლეს სპირმონი 20,20 წამით მესამე გახლდათ.

საბერძნეთში ჩასვლა არ დაიზარეს ქალთა გამორჩეულმა ჩქაროსნებმაც. პუბლიკას ამ ჯერზე არ ჰქონია ბედნიერება, ქალთა ორი უსწრაფესი სპრინტერის, ამერიკელი ტორი ედვარდსისა და იამაიკელი ვერონიკა კემპბელის დუელი ენახა, რაკი იამაიკელმა ელადაში ჩასვლა ვერ მოახერხა. ედვარდსმაც 100 მეტრი 11,05 წამში გაიფეხმარდა და 0,06 წამით აჯობა 2005 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრის მომგებ ელისონ ფელიქსს. თავის მხრივ, ფელიქსს მხოლოდ 0,01 წამით ჩამოუვარდა ლაურინ უილიამსი. ამ უკანასკნელმა 200 მეტრზე ბევრად უკეთ ირბინა და 22,70 წამში იპირველა. თითქოს ქალვაჟნი ერთმანეთს შეუთანხმდნენ, ქალთა დარად, ვაჟებშიც 200 მეტრი იმან მოიგო, ვინც 100-ზე მესამე ადგილზე გავიდა — ვოლეს სპირმონმა 20,24 წამში მოიგო. შემდეგ კი უკმაყოფილებანარევი კმაყოფილებით ამბობდა — პირველობა კი კარგია, მაგრამ პირქარში რომ არ გვერბინა, სხვისი არ ვიცი და მე პირადად 20 წამსაც ჩამოვცდებოდიო.



უსაინ ბოლტი

ბერძნულ ტურნირს ჩასვლით პატივი არა მხოლოდ სპრინტერებმა მიაგეს. ათენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ბრიტანელმა სიგრძეზე მხტომელმა დუაიტ ფილიპსმა რეიტინგში კარგა ხნის წინ დაუთმო პირველი საფეხური პანამელ ირვინგ სალადინოს. ამ უკანასკნელს ამჯერად ბრიტანელისთვის ხელი არ შეუშლია და ფილიპსსაც შანსი მიეცა, თავის საქმეში პირველ კაცად ეგრძნო თავი. მაგრამ სალადინოს გარეშეც გამოუჩნდა მოცილე. კიდევ ერთმა ბრიტანელმა ბრაიან ლუისმა, ფილიპსის დარად, საუკეთესო ნახტომი 8,31 მეტრზე შეასრულა და არბიტრებმა გამარჯვება მეორე საუკეთესო ნახტომის შემსრულებელს მიანიჭეს. 8,31-ის შემდეგ ფილიპსს საუკეთესო ჰქონდა 8,22 მეტრი, ლუისს კი 8,10 და საბოლოოდ, როგორც იქნა, ოლიმპიურ ჩემპიონს შეხვდა გამარჯვება.

ქალთა სიგრძეზე ხტომაში რეიტინგის რუს ლიდერ ტატიანა ლებედევას კი კონკურენტიც არ ჰყოლია, პროგნოზებში გაისმოდა, მაგას თუ ვინმე შეეტოქება, ისევ მისი თანამემამულე ოქსანა უდმურტოვაო, მაგრამ ამან 6,42-მეტრიანი ნახტომით მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიჭირა. ლებედევამ კი ყველა უშანსოდ დატოვა — 6,86 მეტრზე ისკუპა, უახლოეს მდევარს მესამედი მეტრით აჯობა და სეზონის რეკორდიც მიითვალა.

ტურნირზე თავი მოიწონა მსოფლიოს უძლიერესმა ბადროს მტყორცნელმა კაცმაც, ლიტველმა ვირგილიუს ალეკნამ, რომელმაც შეჯიბრი 69,67-მეტრიანი ნატყორცნით მოიგო.

**კოტე ყოჩშია**

# ფაბუსამ აფრიკას აჩვენა

**თქვენ** ფიქრობთ, რომ აფრიკული მძლეოსნობა კენია-ეთიოპიის იქით ვერ მიდის? შემცდარხართ.

კი, ბატონო, აღმოსავლეთ აფრიკელებს სტაიერულ, გრძელ დისტანციებზე მსოფლიოში ბადალი არ ჰყავთ, მაგრამ სპრინტერულ სახეობებში ყველას ნიგერიელები სჯობნიან.

ალჟირში მიმდინარე აფრიკის მე-9 თამაშებზე მძლეოსნობის მეორე დღე სპრინტერული იყო და აქ უკვე ნიგერიელებმა დაამტკიცეს, რომ მათი ქვეყანა კონტინენტზე ხეირიანი სპრინტერების ყველაზე დიდი სამჭედლოა. ნიგერიელებს უკვე ხელი აქვთ ჩაქნეული ფრენსის ობიკველუზე, რომელიც პორტუგალიაში გაიქცა, იქაური პასპორტი აიღო და ევროპის ჩემპიონიც გახდა. მათ სხვანიც ჰყავთ ისეთები, ვინც ევროპა-მსოფლიოზე თუ ვერა, აფრიკაში ყველას აჯობებენ. ალჟირში ნიგერიელებს კაცთა გარბენში უპირველესად ოლუროჯი ფაბუსასი ეიმედებოდათ, ვისაც შარშან დოჰაში 100 მეტრი სულის შემხუთავ დროში, 9,85 წამში გაურბენია და ასეთი პირადი რეკორდის მქონე დიახაც, რომ იმსახურებს პატივისცემას.

მაგრამ ერთია პირადი რეკორდი და მეორე კონკრეტული შედეგი. ფაბუსა ალჟირში აშკარად ვერ იყო ფორმაში და მხოლოდ 10,18 წამში გაირბინა დისტანცია. ამ შედეგით ის მსოფლიოს ჩემპიონატს და ოლიმპიადას ვინ ჩივის, ნებისმიერ ევროპულ გრან-პრიზე 8 მორბენალშიც უკანასკნელ ადგილზე გავიდოდა, მაგრამ აფრიკის თამაშებზე ეს მჭლე შედეგი პირველობისთვისაც კი ეყო. ფაბუსა ნასირბილევს ამბობდა, ფეხის ტრავმა მაქვს და ორი კვირის წინათ გამართულადაც ვერ დავდიოდი, ასე რომ, ახლა კიდევ კარგად ვირბინეო.

ფაბუსასი არ იყოს, ქალთა შორისაც ნახევრადტრავმიანმა ნიგერიელმა, 21 წლის დამოლა ოსაიემიმ იმარჯვა (11,20). მან არ დაარღვია ტრადიცია, რომელიც 1987 წლის თამაშებიდან იღებს სათავეს. მას შემდეგ კონტინენტის ოლიმპიადებზე სულ ნიგერიელი გოგონები იგებენ. მათი ლეგენდა იყო მარი ონიალი, რომელმაც 1991, 95 და 2003 წლებში იჩემპიონა. ახლაც ის ოსაიემის გვერდიდან არ მოსცილებია და ახალი ჩემპიონი ძველს ლამის დედას ეძახდა.

მოკლედ, 19 ივლისი ნიგერიული დღე იყო ალჟირში, თუმცა ხალხს არც იმ დღის სხვა გმირები დავიწყებია. 10 კილომეტრზე სირბილში იჩემპიონა ერითრეელმა ზერსენაი ტადესემ (27.00,30) და ეს მაშინ, როდესაც ამ დისტანციაზე ეთიოპიელებს მონოპოლია აქვთ მოპოვებული.

**კოტე ყოჩშია**

# რაო, ქათამიო?!

## ლისენკოს უროს დოპინგის სუნი აუვიდა

**დიდი** ელდა ტრიალებს რუსულ სამძლეოსნო წრეებში. ხმა გავარდა, უროს ტყორცნაში რუს მსოფლიო რეკორდსმენ ტატიანა ლისენკოს სისხლში დოპინგი აღმოაჩნდაო, სწორედ ამის თაობაზე ესაუბრა იქაური გაზეთი „ტრუდი“ მის პირად მწვრთნელ ნიკოლაი ბელობოროდოვს.

„ჩვენ შოკში ვართ! — ამბობს ბელობოროდოვი — პოდოლსკში საწვრთნელ შეკრებაზე ვიყავით, როდესაც ეს ინფორმაცია მივიღეთ და ვსხედვართ ასე გაოგნებულები, როგორ შეიძლებოდა, ასეთი რამ მომხდარიყო? საერთოდ, რომელ შეჯიბრზეა დაპინგ-ტესტი აღებული? ისიც კი არ ვიცით, რომელი დასახელების დოპინგის ხმარებაში ედება ბრალი. ერთი სიტყვით, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ვაგროვებთ ასე წვალებ-წვალებით. მაგალითად, ზუსტად ასეთივე დოპინგი აღმოაჩნდა კიდევ ერთ ჩვენს უროს მტყორცნელს ტანია ხოროშინის. მე კი ვცდილობ, გავიხსენო, ტანია და ტატიანა ბოლოს როდის იყვნენ ერთ ტურნირზე. მგონი, ამ ზაფხულს მოსკოვში, როდესაც მათ შემწვარი ქათამი მიირთვეს. ალალად გეტყვით, ასეთი სიტუაციაში არასდროს მოვხვედრილვარ და ახლა არც კი ვიცი, რა ვილაპარაკო და რა — არა. დავუცდით უფრო ზუსტ ინფორმაციას, მერე კი ალბათ რაც შეიძლება, დავაჩქარებთ „B“ ტესტს, რათა მალე გავიგოთ სიმართლე“.

**კოტე ყოჩშია**

სუმო

# გულივერული კვანტი იოკოძუნას

**ივლისის** ბაშოს დასრულებამდე ორი ტურით ადრე კოკაიმ მერვედ წააგო და საბოლოო უარყოფით ბალანსს, მაკეკოსს, ველარაფრით ასცდება. ხუთქულიან ქართველს გუშინ ექსკომუსუბი ტოჩინოსიმამ აჯობა. ლევან ცაგურია დასავლეთის მეცხრე მაეგაშირაა და სექტემბერში რომ რეიტინგში უფრო დაბლა დაეშვება, აქედანვე გადაწყვეტილია. ახლა მხოლოდ ის აქვს საფიქრალი, ორივე დარჩენილი შეხვედრა მოიგოს და მინუსბალანსი მინიმუმამდე შეამციროს, რათა დაღმასვლა მცირე იყოს. დღეს „შავი ზღვა“ ექსკომუსუბი კაიხოს დაეჭიდება.

მეცამეტე დღის მთავარი მოვლენა კი ბოლო ორი იმპერატორის თასის ამწევი იოკოძუნა ხაკუხოს მარცხი გახდა. „თეთრი ფენიქსი“ ორმეტრიანმა ოძეკი კოტოოსიუმ დაამწუხრა. „ბალკანელმა გულივერმა“ ხაკუხოს პირველივე კონტაქტისას ქამარი დაუჭირა და მომგებიანი ილეთიც სწრაფადვე შეუსრულა.

ხაკუხოს წაფორხილებით ყველაზე მეტად იოკოძუნა ასასიორიუმ და სეკივაკე კოტომიცუკიმ გაიხარეს. მით უმეტეს, რომ ორივემ მოიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავი კოტომიცუკის მეთორმეტე ქულაა, ამით მან ბაშოს წინ დათქმული ნორმატივი ნაადრევად შეასრულა და რაღა უნდა მოხდეს, საშემოდგომოდ ოძეკის ტიტული რომ არ მისცენ. გუშინ ჯერ კიდევ სეკივაკე დევკაცმა რიგითი მაეგაშირა ხომასიო დატორა. ასასიორიუმ კი 31 წლის ოძეკი ტაოტაიკაის აულო მაისის მარცხისთვის რევანში.

დარჩენილ ორ ტურში ფავორიტთაგან საუკეთესო განრიგი კოტომიცუკის აქვს. დღეს იგი ექსსეკივაკე ტოჩინონადას ხვდება, ხოლო ხვალ სამი რიგითი მაეგაშირადან (მიაბიამა, კისენოსატო, დეძიმა) ერთ-ერთს. ასასიორიუს მეთოთხმეტე მეტოქე ხომასიო იქნება. ხაკუხოსი — ტიოტაიკაი. ნაგოიას ბაშოს მეთხუთმეტე დღის დასკვნით ბრძოლაში კი ერთმანეთს ორი იოკოძუნა დაუპირისპირდება, ოცდამეერთე საუკუნეში პირველად.

**ოთარ მაღლაკელიძე**

სნუკერი

# ჩემპიონი აზიაშიც ჩემპიონია



ჯონ ჰიგინსი

**6 აგვისტოს** შანხაის მასტერსით დაიწყება ბილიარდის ყველაზე პოპულარული და ეშხიანი სახეობის, სნუკერის ახალი — 2007-08 წლების სეზონი. მანამდე კი, იქვე ახლოს, ჰონკონგში ფრიად თვალსაჩინო კომერციული შეჯიბრი ჩატარდა, რომელიც ქალაქის ინგლისისგან დამოუკიდებლობის 10 წლისთავს მიეძღვნა.

სამდღიანი ტურნირი ორ ნაწილად იყო გაყოფილი და საერთოდ, უჩვეულო, ერთგვარი ბლიცის ფორმატით ჩატარდა — თითოეულ მატჩში თამაში მხოლოდ ორი ფრეიმის მოგებამდე იყო.

პირველი ნაწილი გუნდურ შეჯიბრს დაეთმო — ევროპა აზიის წინააღმდეგ. ევროპელთა ღირსებას მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, შოტლანდიელი ჯონ ჰიგინსი, მისი თანამემამულე, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი სტივ ჰენდრი, ორგზის გვირგვინოსანი ინგლისელი რონი ოსალივანი და ირლანდიელი ექს-ჩემპიონი კენ დოჰერტი იცავდნენ. აზიას კი ჩინელი ტალანტი ჯუნ ხუ დინგი, ჰონკონგელი მარკო ფუ და ტაილანდელები — ჯეიმს უოტანა დ: სუპონჯ საენლა წარმოადგენდნენ.

მოსალოდნელი იყო და ტიტულოვანმა ევროპელებმა მასპინძლები 5:3 დაამარცხეს. მართალია, პირველ ორთაბრძოლაში ფუმ ჰიგინსი დაჯაბნა, მაგრამ პირველი წრის სამივე დარჩენილი მატჩი ბრიტანელებმა მოიგეს და მეორე წრეში უპირატესობა უპრობლემოდ შეინარჩუნეს.

შემდეგ, უკვე პირადი შეჯიბრი ჩატარდა, ოღონდ ისიც სნუკერისთვის არადამახასიათებელი ფორმატით — რვა მონაწილე ორ ჯგუფად გაიყო; ჯგუფებში წრიული სისტემით ყველა ყველას ეთამაშა და ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გავიდა.

პირველ ჯგუფში ჰიგინსი, ჰენდრი, ჯუნ ხუ და უოტანა იყვნენ და ამ ოთხეულში ჰიგინსმა და უოტანამ უპრობლემოდ იმარჯვეს. მეორე ჯგუფში მოვლენები უფრო საინტერესოდ განვითარდა. სნუკერის ჯადოქარმა ოსალივანმა თავიდან დოჰერტისთან წააგო 1:2. მერე ასეთივე ანგარიშით თავად ირლანდიელი დამარცხდა ფუსთან და, რადგანაც საენლა აშკარად სუსტი იყო, ყველაფერი ფუსა და ოსალივანის პაექრობაში გადაწყდა — ჰონკონგელი ქომაგების გასახარად, მათმა ჯილამ 2:0 იმარჯვა და ნახევარფინალში დოჰერტისთან ერთად გავიდა.

ნახევარფინალში ჰიგინსმა 2:0 მოუგო დოჰერტის, ხოლო უოტანამ, ვინც ერთ დროს მსოფლიო რეიტინგის მესამე ნომერი იყო, ფუ დაჯაბნა და ფინალში მსოფლიოს ჩემპიონზე გავიდა.

ფინალი 5 მოგებამდე ტარდებოდა, უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა და მისი ბედი ბოლო, მე-9 ფრეიმში გადაწყდა. ტაილანდელი 4:2 იგებდა, მაგრამ ჰიგინსმა დაამტკიცა, რომ ღირსეული ჩემპიონია, ზედიზედ სამი ფრეიმი მოიგო და მატჩი თავის სასრგებლოდ დაასრულა.

## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი

# ბოონენის მეორე



**გუშინდელი,** მონპელიედან კასტრამდე 178 კილომეტრზე გაჭიმული მე-12 ეტაპით, რიგით 94-ე „ტურ დე ფრანსზე" ერთგვარი საშუალედო ეტაპი დასრულდა — ალპებიდან ჩამოსულმა ველოქარავანმა სული მოითქვა, ცოტა მუხლები შეასვენა და დღეიდან, უკვე მთავარი იწყება. დღეს ალბიში 54-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა, რასაც ზედიზედ სამი პირინეული ეტაპი მოსდევს და ეს ოთხი ეტაპი, ფაქტობრივად, გადაწვეტს წლევანდელი „დიდი მარყუჟის" ბედს.

დღეს ყაზახური „ასტანას" ლიდერები, ალექსანდრ ვინოკუროვი და ანდრეას კლოდენი დანაკარგის ანაზღაურებას შეეცდებიან. მაგრამ ხვალ უკვე მთებია და მთებში „ასტანელებს" აშკარად უჭირთ. პირინეის მთები მეორე, უმაღლესი და პირველი კატეგორიის მწვერვალებით დაიწყება. პორტ დე პაილერესი ზღვის დონიდან 2001 მეტრ სიმაღლეზეა აღმართული და მას ეგრევე მოსდევს 1780-მეტრიანი საფინიშო პლატო დე ბეილე.

ეს დღეს და ხვალ, და გუშინ კი ერთი რიგითი ეტაპი იყო სამი მეოთხე და ერთი მეორე კატეგორიის ალმართით. თმცა, სანამ მე-12 ეტაპის შესახებ ვიტყოდეთ რამდენიმე სიტყვას, უფრო მნიშვნელოვანი ვთქვათ — დანიის ველოსიპედისტსთა კავშირმა მიმდინარე „ტურ დე ფრანსის" ლიდერს, „რაბობანკის" მრბოლ მიქაელ რასმუსენს სექტემბერში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა აუკრძალა და პარალელურად, წინასწარვე გარიცხა მომავალი წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა შესაძლო სიიდან.

„ტურის" ყვითელმაისურიანი ასე მკაცრად იმიტომ დასაჯეს, რომ თურმე ქვეყნის ანტისადოპინგო ინსპექციისთვის არ უცნობებია, თუ სად ვარჯიშობს ხოლმე და ველოსპორტის სამყაროში კი ასეთი წესია — ყველა სახელოვანმა მრბოლმა თავისი ქვეყნის ანტისადოპინგო სამსახურებს მთელი თავისი მზადებისა და ვარჯიშის ანგარიში უნდა ჩააბაროს. თუ მრბოლი ასეთ ანგარიშს არ წარადგენს, და ქვეყნის ველოფედერაციის გაფრთხილებას უგულებელყოფს, უმალ დასასჯელთა სიაში შედის.

„დიახ, ერთი გაფრთხილება მივიღე, მაგრამ ლაპარაკი, მხოლოდ ადმინისტრაციულ შეცდომაზე იყო. ანტისადოპინგო ინსპექციამ ფოსტით გამომიგზავნა კითხვები, წერილმა კი ჩემამდე გვიან მოაღწია და ამიტომაც ვერ გავეცი დროული პასუხი. ნუთუ ამის გამო უნდა დავისაჯო ასე მკაცრად?" — გაკვირვებას ვერ მალავს რასმუსენი, ვისაც ამ წუთისთვის საფიქრალი ისედაც არ აკლია — თანამედროვე ველოსპორტის, ალბათ საუკეთესო სამთო მრბოლს „ტურის" ლიდერის ყვითელი მაისურა აცვია და მთელი მისი ფიქრები, სწორედ ამ მაისურის შენარჩუნებაზეა გადართული.

რასმუსენის გუნდის, ჰოლანდიური „რაბობანკის" შეფები არ აპირებენ თავიანთი მრბოლის დაცვას. „მიქაელის მხრიდან ეს დიდი სისულელეა. ყველამ იცის, რომ ანტისადოპინგო სამსახურებთან უნდა ითანამშრომლოს და, თუ რასმუსენმა ეს არ გააკეთა და დანიის ველოკავშირი მას დასჯის, ჩვენ ვერაფრით დავეხმარებით" — ბრძანა „რაბობანკის" წარმომადგენელმა.

ახლა კი გუშინდელი ეტაპის შესახებ. სადღაც, ფინიშამდე 120 კილომეტრით ადრე პელოტონიდან ორნი გაიქცნენ — ესპანური „ეუსკალტელის" ამეტს ტხურუკა და ფრანგული „ბუჲ ტელეკომის" პატრის ფედრიგო. ბასკმაც და ესპანელმაც გვარიანად იმუშავეს, ძირითად ჯგუფს რაღაც მომენტში 10 წუთზე მეტითაც კი გაასწრეს და ბოლო კილომეტრამდე წინ იყვნენ, მაგრამ ფინიშისკენ პელოტონი, სადაც განსაკუთრებით „ქვიკ სტეპისა" და „ლიქუიგასის" წევრები აქტიურობდნენ, მთელი ძალით ამუშავდა და უკვე კასტრის ქუჩებში, გზის ბოლო, სწორ მონაკვეთზე გაქცეულებს დაეწია.

„ქვიკ სტეპმა" ბრწყინვალედ გააკეთა თავისი საქმე და გუნდის ბელგიელ ლიდერ ტომ ბოონენს გზა გაუხსნა. გერმანელი ვეტერანი ერიკ ცაბელი და წინა ეტაპის მომგები სამხრეთაფრიკელი რობერტ ჰანტერი თითქოს ბოლომდე კი მისდევდნენ ბოონენს, მაგრამ ბელგიელმა თანაგუნდელების დაწყებული მშვენივრად დააგვირგვინა და წლევანდელ „ტურზე" ორი ეტაპის მომგები პირველი მრბოლი გახდა.

**მე-12 ეტაპი. მონპელიე-კასტრი. 178 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | 4სთ 25წთ 32წმ |
| 2. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი") | |
| 3. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, ბარლვორლდი") | |
| 4. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი") | |
| 5. ბერნარ ეიზელი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი") | 57სთ 37წთ 10წმ |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +2წთ 35წმ |
| 3. იბან მაიო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | +2წთ 39წმ |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +2წთ 41წმ |
| 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | +3წთ 08წმ |
| 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3წთ 39წმ |
| 7. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") | +3წთ 50წმ |
| 8. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი") | +3წთ 53წმ |
| 9. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") | +5წთ 06წმ |
| 10. მიგელ ასტარლოზა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +5წთ 20წმ |



## სამი ერი 2007

21 ივლისი. ოკლენდი

**ახალი ზელანდია — ავსტრალია**

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, ჰაულეტი, ტოეავა, მაკალისტერი, როკოკოკო; კარტერი, კელეჰერი; სოოიალო, მაკქოუ (კაპ), კოლინზი, ჯეკი, რობინსონი, ჰეიმანი, ოლივერი, ვუდკოკი

სათადარიგოები: მეალამუ, ტიალატა, სორნი, მასო, ლეონარდი, მაუგერი, ევანსი

**მწვრთნელი:** გრემ ჰენრი

**ავსტრალია:** ეშლი-კუპერი, ჯერარდი, მორტლოკი (კაპ), ტიტუ, მიტჩელი; ლარქემი, გარეგანი; ჰოილისი, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, შეფერდსონი, მური, დანინგი

სათადარიგოები: ფრეიერი, ბაქსტერი, მაკმენიმანი, ჩიშოლმი, ვუ, სტეინფორტი, ლათამი

**მწვრთნელი:** ჯო კონოლი

# სამ ერში ორიდან ერთი დარჩება

**დღეს** ოკლენდში, „იდენ პარკზე", ახალი ზელანდია ავსტრალიის უმსპინძლებს წლევანდელი სამი ერის დამაგვირგვინებელ ჯახში. აქედან მოგებული ჩემპიონის ტიტულის და ბლედისლოუს თასის მფლობელი გახდება. სამი კვირის წინ „ვოლაბებმა" საშინაო შეხვედრაში თითქმის წაგებული თამაში შემოუტრიალეს მაორებს და ტურნირს ინტრიგა ბოლომდე შეუნარჩუნეს. გარდა ტიტულებისა, რასაც დღევანდელი დღე მოიტანს, გამარჯვებული მსოფლიო თასის წინ თვითრწმენასაც განიმტკიცებს და ერთიორად საშიში გახდება სარაგბო სამყაროსთვის. ახალ ზელანდიის ტალანტები რომ არასოდეს აკლდა, ძველი ამბავია. ახლანდელ გუნდშიც ისეთ შემადგენლობას მოუყრია თავი, ვისზეც მომავალი თაობა ლეგენდებს შეთხზავს. ჰოდა, დღესაც აუცილებლად იქნება თვბრუდამხვევი ტემპი და ფინტების კასკადი მულიაინას, ჰაულეტის, ტოეოვას და როკოკოკოს შესრულებით. გამთამაშებელი დენ კარტერი საუცხოო ფორმაშია და ის მთელი კვირა იმუქრებოდა, განახებთ, ავსტრალიასთან როგორც ვითამაშებთო. კაპიტანი რიჩი მაკქოუ შერკინების სული და გულია, ბევრი მას პლანეტის საუკეთესო მორაგბედაც მიიჩნევს. ყველაფერ ამას დაუმატეთ ძირითადის სხვა ვარსკვლავების გარდა სათადარიგოები, რომელთა თამაშში ჩართვაც ხშირად ფატალური ხოლმე მოწინააღმდეგისთვის. „შავების" პოტენციალი აშკარაა და ვინძლო თამაშიც ისეთი გამოდგეს, მომავალში ნოსტალგიას რომ აღუძრავს რაგბის მოყვარულთ.

ურთულესი ამოცანის წინაშე დგას ავსტრალია. ოზებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ, უპირატესად იმის გამო, რომ მერე იფიქრონ, სახლშიც მოვუგეთ, გასვლაზეც და საფრანგეთში რა ღმერთი გაგვიწყრებაო. ამოცანა კი შესრულებადია, თუ „ვოლაბთა" ძველი გვარდია მელბურნის ჯახის მაგვარ სასწაულს მოახდენს ავსტრალიელებს მოტივაციას ისიც მატებთ, რომ მათი ლეგენდარული ცხრა ნომერი ჯორჯ გრეგანი, რომელმაც 133 სანაკრებო ტესტი მოაგროვა, ახალზელანდიელ გულშემატკივარს ემშვიდობება. 34 წლის ნახევარმცველი უკანასკნელად იბრძოლებს მაორთა მიწაზე და ამას უდიდესი შემართებით გააკეთებს. გრეგანის ზღაპრული კარიერის დასასრულის დასაწყისს შესაფერისი ატმოსფერო და მხარშიმდგომები სჭირდება, რასაც სტივენ ლარქჰემის და ჯორჯ სმიტის დარი მორაგბეები უთუოდ უზრუნველყოფენ. გარემარბ მარკ ჯერარდისთვის საფრანგეთში გამგზავრების საკითხი ამ თამაშით გადაწყდება, იმიტომ რომ ჯო კონოლიმ ბოლო ტესტებში მისცა თავის გამოჩენის საშუალება და შეჰპირდა, თუ ივარგებ, მსოფლიოს თასზეც წამოხვალო. ჯერარდის მხარდამხარ ადამ ეშლი კუპერი ითამაშებს, რომელიც თანამედროვე ავსტრალიის ნაკრებში გამორჩეულად ნიჭიერი გარემარბია.

**ზურაბ მიგრიაული**



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აბულაძე, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თიარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge